

მწეშემსი



მწეშემსი კეთილმან სული
თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის
იონ. 10—11.

№ 19—20

1883—1908 წ.

30 ოქტომბერი

ზ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან, რედ. დ. ლამბაშიძისა.—დასდუმენ, დაჰსცხერ, მღვ. ი. ლუკიანოვისა.—იმერეთის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო, დამსწრესი.—აკაკის იუბილეი, საჩხერის კომიტეტის წევრებისაგან.—წიგნთსაცავის მნიშვნელობა, ივ. ზ.—შვილი. ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მცენიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე:—წიგნი მეორე სჯულისა.—განცხადება.

1 ოქტომბერი 1883 წ.—1 ოქტომბერი 1903 წ.

„1 ოქტომბერი 1883 წ. ღღევანდელ კაცობრიობის ცხოვრებაში დიდი ცვლილებები ხდება. ღროება თავის ბეჭედს ასვამს ყველაფერს და თავისას შერება. ამ უკანასკნელ დროს მაინც გასაოცარ ცვლილებებს ვხედავთ კაცობრიობის ცხოვრებაში. მართალია, კაცობრიობის ცხოვრებაში ნიადაგ ინიშნება წარმატებითი მოძრაობა, მაგრამ ეს მოძრაობა ისე თვალ-საჩინო არ არის, რომ კაცმა მცირე დროს განმამაგლობაში შენიშნოს. ამას უნდა ბევრი დრო და ისტორიული დაკვირვება...“

სხვა განათლებულ ხალხზე არაფერს ვიტყვით; ავიღოთ მარტო ჩვენი სახელმწიფო და გულს მოდგინედ დავაკვირდეთ ხალხის წინანდელ და ეხლანდელ მდგომარეობას და დროებით მოთხოვნილებათა. ისტორიაში დაუვიწყარი იმპერატორი ალექსანდრე მეორისაგან მოხდენილმა რეფორმებმა მაინც ხალხში მოახდინა ისეთი ცვლილებები, რომელსაც ამ ერთი საუკუნის წინ ძნელად წარმოიდგენდა კაცი.

მრავალი მიზეზებია, რომელნიც ხალხის წარმატების და წინ წასვლის საქმეს ხელს უშლიან და დიდხანს აჩერებენ მას ერთ წერტილზედ. აგრეთვე მრავალი მიზეზების წყალობით მოხდებდა ხოლმე

ხალხის გონებითად და ზნეობითად წინ-ბიჯის წადგმა და წარმატება. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ისე არაფერი არ ეხმარება ხალხის კეთილ-წარმატებას, მის ზნეობითად და გონებითად ამაღლებას და მის კეთილდღეობას როგორც ბეჭდვითი სიტყვა, სხვა და სხვა დრო გამოშვებითი სალიტერატურო გამოცემები. ყველა ვხედავთ, რომ ამ უკანასკნელ დროს მაინც გამრავლდნენ სხვა და სხვა დრო გამოშვებითი სალიტერატურო გამოცემები. ზანათლებულ ქვეყნებში ყოველ თემს, ყოველ წოდებას და თითქმის ყოველ უწყებას აქვს თავისი ორგანო,—ჟურნალ-გაზეთები, რომლის საშუალებით ერთი ასწავლის, მეორე სწავლობს, მესამე ხელმძღვანელობს, მეოთხე ბაძავს და ასე ყველა სარგებლობს. მართს უკავია დროში ხელში და მიდის წინ, სხვანი მიყვებიან უკან და ერთად ეომებიან უგურებას, სიბნელეს, უსამართლოებას, უზნეობას და სხვა-და-სხვა კაცობრიობის დამამკირებელ მოვლენათა...“

ამ ჟურნალ-გაზეთების წყალობით სხვა განათლებულ ხალხებთან რუსეთის სახელმწიფო ხალხმაც შეძლებისაგებ წინ წადგა ბიჯი. სასულიერო წოდებამ პირველად არ მიაქცია ამ ხალხის გონებით მოძრაობას ყურადღება. შინდანი მამანი და მოძღვარნი ეკლესიისანი უფრო ეძიებენ და ითხოვენ მოძღ-

ვართა და სარწმუნოების მქადაგებელთაგან სიწმიდესა და კეთილ-მსახურებასა ვიდრე ხორციელსა განათლებასა და სწავლა მეცნიერებასა. შმაღლესი სასულიერო მთავრობაც ამ თვისებას უფრო მოითხოვდა სარწმუნოების მქადაგებლებთაგან. ამისათვის სამღვდლო პირთაგან მაინც და მაინც დიდ სწავლას არ ითხოვდა. მაგრამ ამ უყურადღებლობამ, ცოტა არ იყო, ცუდი ნაყოფი მოიტანა, ცუდი შედეგი მოჰყვა: ცხოვარმა თავისი მწყემსის სიტყვა ვეღარ იცნო და წავიდა ისეთ მხარეს სადეთაც დიდი ხრამია გადასავარდნი. მელარ იცნო თავისი მწყემსი, რომელიც ყოველთვის სცდილობდა და უნდა მაცადინობდეს თვისი სული დასდვას ცხოვართათვის... მადლობა ღმერთსა, მალე მიაქციეს ყურადღება ამ შეცდომილების გასწორებას. ღღეს შეძლებისადაგვარად ჩვენი სასულიერო მთავრობა ყველაფერ ღონის ძიებას ხმარობს სასულიერო წოდების გონებით ამადლებსათვის. ამასთან თვითონ სასულიერო წოდებაც თავისი მხრით ცდილობს ყველა ღონის ძიებას ღირსეულად შეასრულოს თავის დანიშნულება და მიზანი. ამ ღონის ძიებათა შორის პირველი ადგილი უკავია სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს, რომელთა რიცხვმა ამ ბოლო დროს ძველ დროსთან შედარებით, ძრვიელ მოიმატა. ეს ჟურნალ-გაზეთები დიდად ეხმარებიან სარწმუნოების მქადაგებელთა და მოძღვართა თავის მოვალეობის აღსრულებაში, თავის სამწყსოს კეთილად დამწყესაში და საზოგადოდ ყველა ქრისტიანეთა აძღვევენ სულიერსა საზრდოსა. ძნელად ნახავთ მთელს რუსეთში, რომ ყოველ ეპარხიის სამღვდლოებას თავისი ორგანო, ჟურნალი ანუ გაზეთი, არ ჰქონდეს...

მაგრამ მხოლოდ ჩვენ, სამწუხაროდ, საქართველოს სამღვდლოება და ხალხი ვართ გამოსხლეტილნი ყველა სამღვდლოებათა და ხალხთაგან, რომელთაც არ გვაქვს არც სასულიერო სალიტერატურო გაზეთი და არც ჟურნალი. ის სამღვდლოება, რომელიც ძველ დროში მადლა იდგა გონებითად დანარჩენ ხალხზე და რომლის სიტყვა ქადაგებას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე, ღღეს გაჩუმებულია და თავის სამწყსოს ზოგიერთ ალაგას ბევრათ უკან ჩამორჩენილა გონებით და სწავლით...

რა გავლენა უნდა ექმნეს ამისთანა სამღვდლოებას ხალხზე? როგორ უნდა დაარიგოს მან თავისი სამწყსო? როგორ უნდა მოეხმაროს იგი

ხალხში კეთილ ზნეობითი სწავლის გავრცელებას და როგორ უნდა შეასრულოს მან მტკიცედ თავისი დიდი მოვალეობა? რამდენი ამ გვარი კითხვები ტრიალებენ შენს გონებაში!..

ჩვენის ჰაზრით, სასულიერო სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთები ძლიერ დაეხმარებიან ამ შემთხვევაში სამღვდლოებას და გაუადვილებენ მათ თავიანთ დიდი მოვალეობის აღსრულებას.

ნურავინ იფიქრებს იმას, რომ კაცს მიტრის სწავლა ეყოს, რომელსაც შეიძენს სასწავლებლებში. ჩვენ მრავალი პირი გვინახავს, რომელთაც სასწავლებლებში სწავლა ჩინებულათ შეეთვისებიათ, მაგრამ მიყრუებულ ალაგას, დიდი ხნის გონებით უფარჯიშობისა-გამო, უმეცრების ხავსით დაფაროდათ. მსვეე დაემართებათ ყველა იმ პირებს, რომელთაც თავის დიპლომზე დიდი იმედი დაუდვიათ და ამ დაიმედებით გონებითი ვარჯიშობისათვის თავი დაუნებებიათ და ხელს აღარაფერს აღარ ჰკიდებენ...

ჩვენში გამოიცა ერთად ერთი ქართული ჟურნალი; „საქართველოს სასულიერო მახარებელი,“ ჩყად წელში უპატივცემულეს მამა ბიორგი ხელიძის რედაქტორობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ძლიერ მოკლე დღე ჰქონდა მას. ბევრი თანამშრომლები აღმოუჩნდა ამ სასულიერო ჟურნალს; რედაქტორიც საიმედო პირი იყო; ჟურნალი გამოვიდა ივლისის თვილამ ჩყად წელსა და იმავე წელში ოკტომბრის თვეში ხელის მომწერლები ჰყვანდა სამას ოთხმოცდა რვა. ხელის მომწერლების ფული შეადგენდა 1940 მანეთს, მაგრამ ჟურნალმა მაინც დიდხანს ვერ გაძლო...

ოკტომბრის თვის №-ში, მამა რედაქტორი და გამომცემელი ხსენებული ჟურნალისა, სწერდა: „ვერცხლი და ოქრო, ანუ მდებარედ რომ ვსთქვათ ფული, არა გვაქვს ჩვენ, სიტყვისა-მებრ პეტრე მოციქულისა; ხოლო რაიცა გვაქვს, მას სიამოვნებით უძღვნით პატივცემულს საზოგადოებასა, ესე იგი, შრომასა, ცოდნასა და გულსმოდგინებასა.“ მართალია ყოველი საქმისათვის ძლიერ საჭირო არის შრომაც, ცოდნაც და გულს მოდგინებაც, მაგრამ პირველ შემთხვევაში, განსაკუთრებით ჩვენში, არ შეიძლება საქმის გაკეთება უფულოთ და ეს უფულობა იყო კიდევ სხვათა შორის, ვგონებ, იმის მიზეზი, რომ ისე მალე მოესპო ღღეს ამ „საქართველოს მახარებელს.“

მას დროს აქეთ გულით და სულით მოველო-
დით ჩვენ სასულიერო ჟურნალის, ანუ გაზეთის
გამოცემას ქართულს ენაზე და უმჯობესი პროგრა-
მით, მაგრამ ჩვენი სურვილი ნიადაგ სურვილად
რჩებოდა და არ კმაყოფილდებოდა. სასულიერო
პირნი მიილტოდნენ საერო ჟურნალ-გაზე-
თების რედაქციებისადმი და თხოვილობდნენ მათ
გაზეთებში და ჟურნალებში გამოეთქვათ თავიანთი
ჰაზრები ზოგიერთ სასულიერო წოდების კითხვების
შესახებ. პატივი ამ რედაქციებს, რომ ხშირად
აკმაყოფილებდნენ ამისთანა პირთა სურვილს და
თავის გაზეთებში ბეჭდავდნენ იმისთანა სტატიებს,
რომელთაც პირ და პირი დანიშნულება ჰქონდათ
სასულიერო ჟურნალებისათვის.

აწ მყო დროში, რომელიც იწოდება წარმა-
ტების დროდ, ყველანი უნდა გრძნობდეს, მთისაგან
დაცულ ჩვენ საქართველოში დრო და დრო სასუ-
ლიერო ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემის საქი-
როებას ქართულს ენაზე. მს ჰაზრი და საქიროება,
გადის აგერ ათი წელიწადი, განსვენებას არ გვაძ-
ლევდა და დღეს, მადლობა ღმერთსა, ველირსეთ
მის აღსრულებას. ჩვენ სრული დარწმუნებული
ვართ, რომ არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენთან მრავალნი
ჩვენნი თანა მოძმენი და ქრისტიანენიცა
ჰგრძნობენ სასულიერო ქართული ჟურნალის ანუ
გაზეთის გამოცემის საქიროებას და დიდის სიხარულით
მიეგებებიან ამისთანა გამოცემას...

ჩვენი გაზეთის მიზანს და დანიშნულებას
ყველანი შეიტყობდნენ პროგრამიდან, რომელიც
ამას წინეთ ცალკე დაურიგდა ყველას და გაზე-
თებშიაც იყო გამოცხადებული.

ჩვენ ვგონებთ, რომ ყველა დარწმუნებულია
იმაში თუ რა დიდი საძნელო საქმეა, განსაკუთრე-
ბით ჩვენში, ქართული სასულიერო სასილერატუ-
რო ჟურნალის, ანუ გაზეთის გამოცემის საქმე და
რა დიდ ღვაწლს, შრომას და ხაჯრს მოითხოვს ეს
საქმე. მაგრამ დაიმედებული ვართ, რომ სიყვარუ-
ლი საქმისა და მოყვსისადმი დასძლევს ყველა გა-
ქირვებას და დაბრკოლებას. ამ სიყვარულობით და
იმედით ვკიდებთ ხელს ამ საძნელო საქმეს და ამას-
თან იმედი გვაქვს, რომ ყველანი: მწყემსთ-მთავარნი,
მოძღვარნი და თანა მოძმენი და ყველა ქართველნი,
რომელნიც მოსურნენი და მოწადინენი არიან
გავრცელებისათვის სულიერისა განათლებისა და

კეთილ ზნეობითის ცხოვრებისა სასულიერო და
საერო პირთა შორის საქართველოს ხალხში, ურამ-
ლისოთაც არასოდეს და არსად ხალხის კეთილი
დღეობითი ცხოვრება არ მოხერხებულა და არც
მოხერხდება, დაგვეხმარებიან ჩვენ და თანაგრძნო-
ბას გაგვიწვენენ ამ კეთილ და საზოგადო სასარ-
გებლო საქმეში შეძლებისა დაგვარად. ჩვენ ჩვენის
მხრით კი არ დავზოგავთ არც ქონებას, არც გონ-
ებას და არც სიცოცხლეს ჩვენის მოვალეობის
შესასრულებლად“...

აი, ამისთანა შინაარსის მეთაურის სიტყვით მი-
ვეგებეთ ჩვენ ოცდა ხუთი წლის წინეთ, 1 ოქტომ-
ბერს 1883 წელში ჩვენი ორგანოს— „მწყემსი“-ს
გამოცემის საქმეს. ღმერთო ჩემო! რა სიხარულით,
რა აღტაცებული იმედებით და რა აღფრთოვანე-
ბული გულით მივეგებეთ ოცდა ხუთი წლის წი-
ნეთ, 1883 წლის პირველ ოქტომბერს! პირველი
ოქტომბერი ჩემს ცხოვრებაში შეიქმნა შესანიშნავ
და სასიხარულო დღედ. მაგრამ რას ვგრძნობ დღეს?
რამდენად აღვსილი იყო ჩვენი გული სიხარულით,
იმედებით და აღფრთოვანებული მოსალოდნელ
მერმისით, იმდენად აღვსილია ოცდა ხუთი წლის
გასვლის შემდეგ ჩვენი გული მწუხარებით, უიმე-
დობით და უარესი მოსალოდნელი მერმისით...

ღიახ, ასე გრძნობს ყოველი კაცი ვინც ცხოვ-
რებას გამოსცდის და პირველ გრძნობებს შეადა-
რებს უკანასკნელი დროის გრძნობებთან... ასე
გრძნობს ყოველი კაცი თუ ყოველის მხრით დაა-
კვირდება ამ ქვეყნის წალმა-უკულმა ტრიალს და
ხალხის ცხოვრების მიმდინარეობას, განსაკუთრებით
ჩვენში. რას იგრძნობს ამის მეტს ის ხალხი, რომელსაც
დაუკარგავს ყოველივე რითაც ცხოვრებს
იგი? რას იგრძნობს ამის მეტს ის, რომელიც გარ-
შემო არავითარ სასიხარულოს არას ხედავს? აი ამის-
თანა უბედურ დროს, გვირჩევენ ზოგიერთები 25
წლის შესრულების იუბილეს დღესასწაულობას!
მცირე რიცხვა ჩვენის მკითხველებისამ
ოცდა ხუთი წლის შესრულება ჩვენი ორგანოს
„მწყემსი“-ს არსებობისა კიდევ მოგვილოცეს და
ზოგიერთებმა ლექსით დაწერილი წერილები გვიძ-
ლენეს, ალბათ იმ აზრით, რომ ყველა ამ წერილებს
მოვათავსებდით „მწყემს“-ში. მაგრამ ჩვენ არა გვ-
სურს დღესასწაულობა ამა დღისა. 25 წლის კი არა
50 და 100 წლის შესრულების დღესასწაულობაც

საზოთიროა სასულიერო პირთაგან, რადგან იგი წინააღმდეგია სახარების სწავლისა. აი რას ბრძანებს მაცხოვარი იესო ქრისტე:

„ეკრძალენით ქტსლის-საქმესა თქტსნსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა; უკეთუ არა, სასყიდელი არა გაქტს მამისა თქტსნისა-გან ზეცათასა.

ხოლო რაჟამს იქმოდე ქტსლის-საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა იგი ორგულთა ჰყვან შესაკრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რათა იდიდნენ კაცთაგან. ამინ გეტყვ თქტსნ, მიუღებთს სასყიდელი მათი.

ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქტსლის-საქმესა, ნუ ჰსცნობნ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯტსნე შენი;

რათა იყოს ქტსლის-საქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.“

იუბილეების დღესასწაულობა სასულიერო პირთა შორის ხომ ერთად ერთი უადგილო ქება-დიდების შესხმებია ისეთი მოღვაწეობისათვის, რომელიც არ ყოფილა და არც არის!?

25 და 50 წლის იუბილეების დღესასწაულობა ერის კაცთა შორის სულ სხვა არის... ზოგი ამისთანა დღესასწაულობა გამოწვეულია სულ სხვა და სხვა საპატიო მიზეზთა გამო, რომელთაც არ ვასახელებთ აქ...

სხვას თავი დავანებოთ, განსაკუთრებით დღევანდელ დროს, როცა ეკლესიები დაცარიელებულია, როცა, დევნა სამღვდლოთა წინააღმდეგ გაძლიერებულია, როცა სამწყსო განიცდის დიდ მწუხარებას და შევიწროებას, როცა სამწყსოთა ცხოვრება აუტანელია, განა ამ დროს მათ მწყემსთ შეუძლიანთ დღესასწაულობა და დროს გატარება? ქალაქების მცხოვრებნი ვერ წარმოიდგენენ მას რაც ხდება დღეს სოფლებში... ვერ წარმოიდგენ იმ უაჯობას რაც ასე ადვილად ხდება მიყრუებულ სოფლებში... ხალხზე მისეულია ყველა და აღარავინ აღარ ზოგავს მას...

ჩვენ მხოლოდ მადლობას ვსწირავთ უზენაესს, რომელმანაც მოგვანიჭა სიცოცხლე, რომ მცირე სამსახური გავგეწია ეკლესიისა, მოძმეთა და მამულისათვის. უმეტესად მადლობას ვსწირავთ ღმერთსა, რომ გადავრჩით 1906 წელში სიკვდილსა და ცეცხლსა...

როცა პირველად განვიზრახეთ ორგანოს გამოცემა იმედი გვქონდა, რომ შეგვძლებდით ამ მძიმე საქმის სამსახურს ათ წლამდე, მაგრამ ღვთით ოცდა ხუთი წელიწადი შევსძელით ესეთი მძიმე ტვირთის ზიდვა.

ჩვენ გამოვსთქვით პირველად, რომ ჩვენი ორგანოს სამსახურისთვის არ დავზოგავთ არც ქონებას, არც გონებას და არც სიცოცხლესმეთქი. ჭეშმარიტად! არ დავვიზოგავს არც ქონება, არც გონება და არც სიცოცხლე. მაგრამ ეს, რომ ნამდვილად შეიტყოს კაცმა უთუოდ უნდა იცოდეს ყველა თავგადასავალი როგორც ჩვენი, „მწყემსი“-ს გამოცემის დროისა, აგრეთვე თვით ამ ორგანოს თავგადასავალი 25 წლის განმამდებლობაში. ამისათვის ჩემს თავს ვალად უღდგენ მოუთხრა მკითხველებს 1) რამ მაიძულა მე „მწყემსი“-ს გამოცემა, 2) როგორ მიეგება სამღვდლოება და საზოგადოება ამ ორგანოს. 3) ვინ და რა გვაბრკოლებდა სალიტერატურო ეკლიან გზაზე, 4) რა გვიწყობდა ხელს და რა გვეხმარებოდა, 5) რა ჰქონდა მიზნათ დასახული „მწყემსს“ და როგორ აღვასრულეთ ჩვენ და ჩვენმა ორგანომ თავისი მიზანი?. ყველა ეს ცნობა ფ-დ საჭირო არის ჩვენი ორგანოს მკითხველთათვის. მხოლოდ ამ ცნობების შეტყობის შემდეგ შეუძლია „მწყემსი“-ს მკითხველს ჯეროვანად დაფასოს „მწყემსი“-ს ორგანოს სამსახური საზოგადოდ და ჩვენი, განსაკუთრებით...

რედ. დეკ დ. დამბაძე.



დასდუმენ, დაჰსცხერ!

ამოვარდა დიდი ქარიშხალი. ტალღებმა დაუწყეს ნავს ცემა, ასე რომ ის წყლით იცებოდა. ხოლო იესოს ეძინა ნავში; იმას აღვიძებენ მისი მოწაფეები და ეუბნებიან; „მოძღვარ! არა ჰზრუნავ, რამეთუ წარვსწყმდებით?“ და აღსდგა იესო და შერისხნა ქარსა მას და ზღვასა, და ჰრქვა: „დაჰსდუმენ და პირი დაიყავნ!“ და დასცხრა ქარი იგი, და იქნა დაყუდება დიდ, და რქვა მათ: რასა ესოდენ მოშიშ ხართ, ვითარ არა გაქვს სარწმუნოება? (მარკ. 4, 37—40).

თანამედროვე ჩვენი ცხოვრებაც დღევანდელს. ცხოვრება, რომელიც წინათ მშვიდობიანათ მიმდინარეობდა, ეხლა გადმოვიდა თავის კალაპოტიდან, და მსგავსად მოვარდნილი დიდი წყლისა, უნდა წალეკოს ყველაფერი, რაც-კი დაუხვდება მას გზაზე, დოღმატიური სარწმუნოება დაეცა ხალხში. გონება გადაიქცა უღმობელ სასტიკ კრიტიკოსად, რომელიც არაფრით არ კმაყოფილდება და ყოველივეს უარ-ჰყოფს. ჭეშმარიტებანი სარწმუნოებისა, ზნეობითი სწავლისა, ფილოსოფიისა, რომლის წინაც თავს იხრდა წინათ ხალხი, ამ დროში განიხილვებიან ყოველ მხრივ სერიოზულათ და დაცინვით. ის, რაც ამ ცოტა ხნის წინათ მალლა იღვა ხალხის თვალში, რომლის წინაც მოწიწებით მუხლს—იყრიდა ხალხი,—ეხლა გამხდარა საგნად ბოროტი ირონიისა, უღმობელი სარკაზმისა, თავხედი დაცინვისა. არ გადაურჩა ასეთ ხვედრს ქრისტიანობაც. იმის თავზედაც უხვად აყრიან სხვა და სხვა ბრალდებას. მაგრამ პიროვნება ქრისტესი ისეთი უბიწო და წმინდაა, და ქრისტიანობრივი მოძღვრება ისეთი ღრმა და მაღალია, რომ თვით ქრისტიანობის მტერნი ვერ ჰპოვებენ მის წინააღმდეგ საფუძვლიან რამეს. ყველა ის ბრალდება, რომელსაც ქრისტიანობის წინააღმდეგ აყენებენ, საპნის ქაფის ბუშტის მსგავსად ჰქრება ქრისტეს ჭეშმარიტების სინათლის წინ. მაგრამ თანამედროვე ურწმუნოება მეტის მეტად გულ-დაჯერებული და თავხედი, რომ ყური მიუგდოს და ანგარიში გაუწიოს იმ განმარტებას, რომელსაც იძლევიან ქრისტიანობის ჭეშმარიტების დამცველნი. ეს ურწმუნოება, დაინტერესებული არაა იმდენათ ჭეშმარიტებით, რამდენათაც თავის მიზნების მიღწევით, შიდის მტერზე თავგასულათ, ყოველნაირ საშუალებასა ხმარობს, რომ ხალხი თავის მხარეს მიიპყროს და გახადოს იგი თავის მორჩილ იარაღად. რას ამობს ის ურწმუნოება?

იგი ამბობს, რომ ქრისტე ღმერთი არ არის, არამედ სოციალური რეფორმატორიაო, რომ ქრისტიანობა არ არის განცხადება საუკუნო ჭეშმარიტებისა, არამედ ისტორიული სწავლაა, რომელმაც თავის დანიშნულება აღასრულა, და ეხლა უნდა დაუთმოს ადგილი სხვა ისტორიულ სწავლასო. ესეც ცოტაა, ქრისტიანობის მტრებს უნდათ რომ ქრისტიანობას ჩირქი მოსცხონ, ამისთვის

ცილს სწამებენ და ამბობენ, რომ იგი ხელს უშლის კულტურულ წარმატებას, და ამიტომ ხალხს ურჩევენ, რომ დაანებოს იმან ქრისტეს თავი, და თუ სრულებით არ დაანებებს, შორიდან შესტრფიალოს მას ისე, როგორც შესტრფიალებს სოკრატს, კანტს, დეკარტს; ესე იგი, მიიჩნიათ იგი არც მეტად, არც ნაკლებად, არამედ დიდ ისტორიულ პიროვნებად, მხოლოდ.

ბევრს ამისთანას სწერენ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და ლაპარაკობენ კერძო საუბრებში. სული უგუბდება კაცს ამის წაკითხვაზე, ან მოსმენაზე. გასაკვირველია, რომ კაცობრიობა, თავისი ვიწრო ნივთიერი ინტერესებით გატაცებული, ჩირქსა სცხებს ყველაფერს, იმასაც-კი, რაც ყველაზე წმიდა და ძვირფასია ქვეყანაზე. ამნაირათ, თვალწინ მებატება ნაცემი, დასისხლიანებული მაცხოვარი. მის გარშემო მთელი ბრბოა მღვდელთ მთავრების მოსამსახურეებისა. ეს ბრბო ველური, გულ-ცივი, სულ-მდაბალი, ბრიყვი,—მხეცურად დასცინის ქრისტეს, აწვალებს, აფურთხებს მას... სილიადე, სიმშვენიერე ქრისტეს ღვთაებრივი პიროვნებისა, რომელიც დამცირებულის და შეურაცხყოფილის სახით სდგას იმის წინაშე, გაუგებარია მისთვის. საშინელი დაშემაძრწუნებელი სურათია! დიდი საიდუმლოება ცხოვრებისა არი დამალული აქ..

და ვფიქრობ მე, ასეთივე მდგომარეობაში არ არის ეხლაც ქრისტე? დაბრმავებული ხალხის ბრბობს წარმოდგენაში შეუღარებელი ავტორიტეტი ქრისტესი დაიხშო წარმართი ადამიანის ავტორიტეტებით. და იგი ბრბო უჯერებს იმათ და მის დევს მათ, არც-კი ეჭვფულობს, რომ ის გზა, რომლითაც იგი მიჰყავთ, დაღუპვის ჯურღმულში ჩააგდებს მას. ქრისტე სდგას და მწუხარებით უცქერის კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების ტრაგედიას. იგი მშვიდობას აძლევს ხალხს, მაგრამ იმას სწყევლიან. იგი წინადაუდებს ხალხს თავის სიყვარულს, მაგრამ ამას ზიზლით უარ-ჰყოფენ. ძნელია იმ შეურაცხყოფათა ჩამოთვლა, რომლებსაც აყენებენ ჩვენ დროში სიყვარულის მოძღვარს რატომ არის ეს, რომ ქრისტე და ქრისტიანობა, რომლის წინაც „მას ჟამსა შინა“ ძლიერი რომის იმპერია და მისი „გაღმერთებული“ იმპერატორები მოჰსდრკებოდნენ, რატომ არის იგი ეხლა დამცი-

რებაში? დიდ-მშვენიერ ქრისტიანების ტაძრებში ეხლა რატომ ისე აღარ დადის ხალხი, როგორც ძველად ნოტიო და ვიწრო მიწის ქვეშ გამოთხრილი ადგილები გაიმსებოდნენ ხოლმე ლოცვის დროს ხალხით?

ქრისტიანობის გარეგნულად სამწუხარო მდგომარეობაში ვართ დამნაშავე ყველა ჩვენ, — მწყემსებიც, მწყემსმთავრებიც, ერისკაცებიც და სასულიერო შკოლაც. როდესაც სარწმუნოება ქრისტესი, როგორც „გზა, ქეშმარიტება და ცხოვრება“, იყო ცხოველი და მოქმედი, როდესაც იგი არა მხოლოდ ქალღმერთ ან კერძო საუბარში გამოიხატებოდა, არამედ თვით ცხოვრებაში, მაშინ გარეგნულ უფორმებოდაც და ამ ფორმების იურიდიულ დაუწესებლობაც, — ქრისტეს ცხოვრება ხალხში და ხალხთა შორის. ქრისტიანი არ იყო მიჩნეული უცხოად სხვა ქრისტიანთან, როგორც ეხლა ხდება ეს. ერთი ინტერესი, — ინტერესი ქრისტეს საქმისა და მოღვაწეობისა, — აერთებდა ყველას ერთ ძმურ ოჯახად და ამ ქრისტეს ოჯახიდან გარშემო ეფინებოდა მშვიდობა, მადლი, სიხარული. არ იყო მაშინ ზარი, რომლითაც ეხლა აღვიძებენ ლოცვისათვის ჩვენ დადლილს, მოწყვეტალ სულს, არამედ უიმისოდაც კაცი მზად იყო ლოცვის ღვაწლისათვის. თითონ თავის-თავის მცველად იყო კაცი, და ვერავითარ მტრებს გარეგანს და შინაგანს ვერ შეეძლოთ მისი ვნება. არ იყო მაშინ დიდ-მშვენიერი ტაძრები, ოქროთი და ვერცხლით გაბრწყინებულნი, და მედიდურათ გუმბათებით მალა თავ ადებულნი, არამედ რყვინ ნოტიო მიწაში გამოთხრილები, მაგრამ ამის მიუხედავად, აღფრთოვანებული ლოცვა და მისწრაფება ღვთისა მიმართ ენთო ყველა ქრისტიანების სულში. არ იყო მაშინ მედიდური საეკლესიო ცერემონიები, მაგრამ თვითეული ლოცვის კრება ხდებოდა უფრო ზე ამადლებულის სულით, მინამ ეხლანდელ დიდ-მშვენიერ ცერემონიებში. რაღა გვაკლია მაშ ჩვენ?

ერთი და უმთავრესი ურომლისოთაც არ არის თვით ქრისტიანობაც, ურომლისოდაც ქრისტიანობა გაუნათლებელი კაცისთვის გადაიქცევა წესრიგად, ცერემონიად, ხოლო განათლებულისთვის — ამადლებულ, განყენებულ ფილოსოფიად, — არის ის, რომ არა გვაქვს ჩვენ ქრისტეს ცხოველი სარწ-

მუნოება. ქრისტემ გვაძნო ჩვენ, თავყანი-ვცეთ ღმერთსა სულითა და ქეშმარიტებითა. მთლად მისი მოძღვრება ერთ დასკვნაზე ჩამოდიოდა: გულის სიღრმეში შეინახეთ, არ ჩააქროთ აღგზნებული ცეცხლი ღვთისადმი მისწრაფებისა; ჩვენ-კი ჩავაქრეთ ცხოველი სარწმუნოება, მოგკალით ჩვენში მისწრაფებანი ცხოველ ქრისტესადმი და მის იდელებისადმი. და ამიტომ, მიუხედავად საეკლესიო დაწყობილების დიდად მშვენიერებისა, მიუხედავად ქრისტიანების მწყემსების მრავალ-რიცხოვანობისა, ჩვენ მაინც განვიცდით სულიერ შიმშილის მდგომარეობას. თანამედროვე საეკლესიო საქმე, მის ეხლანდელ მდგომარეობაში, ქრისტეს ცხოველი საქმე-კი არ არის, არამე არის მოსაწყენი ასრულებდა თანამედრობისა, გამოწვეული ლუკმა პურის ჭამის საჭიროებით. აი რაზედ ჩამოვიდა ეხლანდელი საეკლესიო საქმე...

სასულიერო შკოლებიც საკმაოდ ბლომათ არიან. ისინი ყოველ წლივ საკმარის რიცხვს უშვებენ მღვდლების კანდიდატებს. მაგრამ რა გამოვიდა? მომეტებული ნაწილი იმათი გაურბის მღვდლობას, იმიტომ რომ იმათ ვერ გაიგეს შიგნეული სიმშვენიერე, რომელიც გულის-ხმა ჰყოფს ქრისტესთვის მუშაობას. ცხოველი აზრი ქრისტესი თითქმას წასულია ამ შკოლებიდან და... დარჩა მხოლოდ მინდორი, ძვლებით სავსე...

რაც შეეხება ერის ხალხს, ისევე დაბალი ხალხი, თუმცა წარმართულად სხოვრობს, მაგრამ ახლოა სარწმუნოებასთან.

მდიდარნი და ძლიერნი ამა სოფლისანი, გარდა ღრმად მოხუცებულებისა, რომელთაც სიცოცხელიდგან აულიათ ყოველივე, რაც-კი შეეძლოთ, და რომელთაც ერთი იმედი-და დარჩენიათ საიქაო ცხოვრებაზე, — დანარჩენები ხშირად შორს არიან გულით ეკლესიისაგან და ქრისტესაგან. იმათ გაამპარტავენებულებს სიმდიდრით და გარეგნულის მდგომარეობით, აღარც-კი მიაჩნიათ საჭიროდ ცოდნა ქრისტესი და მეტადრე განსაკუთრებით ეხლანდელ დროში, როდესაც ყველას პირზე აკერია მარქსის, კონტის, ლასალის, მენგერის, სპენსერის და სხვა ამათი მსგავსის სახელები. ქრისტეს ეს განხორციელება სიმართლისა, ეს სასწაული ისტორიისა, ეს მშვიდი და მოძღვარი სიმშვიდისა, — მიაჩნიათ იმათ პატარა შედარებით ამ გმირებთან,

რომელთაც თავიანთი თხზულებებით მიიქციეს ყურადღება მთელი „კულტურული“ ქვეყნისა და შეარყიეს სამეფო ტახტები ქვეყნის მმართველებისა. დიდად სამწუხაროა...

საზოგადო მოღვაწეებიც, რომელთაც თავის ბაირაღზე დაუწერიათ „სიმართლე“, ესენიც მომეტებულ ნაწილად ზურგს აქცევენ ქრისტეს, ხან და ხან კიდევ ამტკიცებენ, რომ ქრისტესთან საერთო იმათ არა აქვს-რა. სიმართლისკენ-კი მიისწრაფვიან და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მისტირიან იმას! მაშასადამე, იმათ რაღაცნაირი თავიანთი სიმართლე ჰქონიათ, და არა ისა, რომელიც ქრისტემ გვასწავლა და რომელიც გასწმინდა თავის ყოვლად წმიდა სისხლით. როდესაც ისინი მიისწრაფვიან განახორციელონ „თავიანთი“ სიმართლე და ქრისტეს-კი ზურგს აქცევენ,—ეს გასაგებია. მაგრამ არ არის გასაგები და საწყენია ის, რომ საზოგადო მოღვაწეები თავის გაუგებლობით ან ამა ქვეყნის საამოდ ასე ფიცხელად და უღირსად ექცევიან დიდს და ღვთაებრივს მოძღვარს სიმართლისას.

და აი ამნაირად, ხალხმა ზურგი შეაქცია ქრისტეს, თავის მიზნები დაისახა ქრისტეს მიზნის ნაცვლად, და მუშაობს იგი სხვა და სხვა სარბიბიელზე. ეს მუშაობა, გარეგნულად მაინც, დულს და გადმოდის. ჰქმნიან სხვა და სხვა პროექტებს, სკდილობენ გაიყვანონ იგინი ცხოვრებაში, იბრძვიან იმათ განსახორციელებლად, ბოლოს, ახორციელებენ კიდევ. მაგრამ სიმართლე მაინც არ ვარდება ზეციდან ქვეყნად და არ უჩვენებს თავის სახეს ხალხს. ხალხსა შიან—და სწყურიან სიმართლე, მაგრამ არაფრით არ შეუძლიან დაიკმაყოფილოს თავი. არ არის პური, რომლითაც შეიძლებოდეს გაძლომა; არ არის წყალი, რომლითაც შეიძლებოდეს წყურვილის სრულიად მოკვლა. და ამის შედეგად ჩნდება მთრთოლარე მდგომარეობა, მოუსვენარი მდგომარეობა, საიდუმლოებითი წინასწარი გრძობა რაღაცა საშინელის მომავლისა. ასეთი მდგომარეობა თან და თან უფრო იპყრობს ხალხს. ხალხი აღდგომის გრძობს, რომ მას დაეკარგა ნამდვილი გზა და სდგას ვიწრო ბილიკზე, რომლიდანაც მოელოს მას გადავარდნა უფსკრულში და დაღუპვა. მიზეზი ამისი ის არის, რომ იმან თავი დაანება ქრისტეს და წავიდა იმის სიმართ-

ლიდგან. იუდამ, რომელმაც ოცდა ათ ვერცხლად გაჰყიდა ქრისტე, იგრძნო თავისი დანაშაული, ბრველად დაუბრუნა ფულები, და შემდეგ ველარ აიტანა სინიღისის ქენჯნა და დაიხრჩო თავი. სიკვდილისაკენ მიჰყავს იმ გზასაც, რომლითაც მიდის თანამედროვე კაცობრიობა.

სიმართლე ქრისტესი!—იუდელებისთვის ცდომია და ელინებისთვის—უგუნურება. ასე სთქვა პავლე მოციქულმა. ამ დროშიაც თუ ილაპარაკებ კაცთან სიმართლეზე, ის მაშინვე შეიკრამს წარბებს და მიიღებს სიძულვილის და დაცინვის გამომეტყველებას. სიმართლე ქრისტესი ზოგისთვის გახდა ცარიელ და უშინაარსო სიტყვებათ, სხვებისთვის—სიცრუის საფარებლად. ვისაც ქრისტე სწამს და იმის სიმართლე უყვარს, იმას ასეთი განწყობილება ქრისტეს სიმართლის მიმართ ისე სჩხვლეტამს გულში, როგორც ხანჯლის წვერი. იხატება თვლებ წინ ასეთი სურათი! მწკრივით მიდიან ადამიანები, რომელიც მსგავსად ფარისევლებისა, ყვიროდნენ სიმართლეზე თითონ-კი თითსაც არ გასძრამდნენ მის განსახორციელებლად ცხოვრებაში. იქნებ თითონაც არა გრძობდნენ რა დიდ ვნებას აძლევდნენ ქრისტეს საქმეს. როდესაც ხალხი ხედავდა, რომ სიმართლის დამცველებისათვის სიტყვა სხვაა და საქმე სხვაა, პირველად მან დაუწყო ცქერა ექვით მათ სიტყვებს და მერმე თითონ ქრისტეს სიმართლეს, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას მხოლოდ ლამაზი სიტყვები, და რომელიც თითქოს უშინაარსოა; ან არ შეიძლება იმისი განხორციელება ცხოვრებაში.

ღიახ, ჩვენ, თითონ ჩვენ ვმარხავთ ქრისტეს ჩვენის სიტყვებითაც და საქმებითაც, და სხვას ნურავის დავდებთ ბრალს. მაშ რა ვუყოთ ჩვენ? ნუ თუ ხელები დავიკრიფოთ, უარი ვსთქვათ ქრისტეზე ან პილატესავით ხელები დავიბანოთ?

არა, არა და არა. ჩვენ დიდად დამნაშავენი ვართ ქრისტეს წინაშე, მაგრამ ის გვაპატიებს ჩვენ ყველაფერს, და როგორც მოსიყარულე მამა, გამოგვეცხადება ჩვენ ძახილზე. იმან სთქვა: „აჰა მე თქვენთანა ვარ ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. ეს სიტყვები უტყუარია, თუნდაც გარეგნულად დატოვებული ვიყვეთ ქრისტესაგან. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენს გულში ქრისტე, თუ გვინდა რომ ქრისტიანები ვიყვნეთ. მაშინ აღიგზნება ჩვენ-

ში ცეცხლი ქრისტეს სიყვარულისა, დასწვამს ყოველივე უწმინდურს უკეთურს და შეგვეწვევა ავასრულოთ სიმართლე ცხოვრებაში.

ეხლა ქარიშხალი ცხოვრებისა შხუის; და აღღვებულ ზღვას უნდა შთანთქას საეკლესიო გემი. მაგრამ ნუ გეშინიანთ ქრისტიანებო! გემში ქრისტეა. უნდა გავადვიდეთ ის და გავადვიდეთ ჩვენ სულში. და აღღვება იგი, დიდი და ყოვლადღმემძღვებელი, და ეტყვის ქარიშხალს ბრძანებლობით: „დასცხერ“. და დასცხრება ქარიშხალი იგი; დამშვიდდება ცხოვრების ზღვა. ყველა დაინახამს მაშინ ქრისტეს ძალას, დაინახავს და თაყვანს-სცემს მას, და გამეფდება ქრისტე ჩვენს გონებაში და ცხოვრებაში ისე, როგორც იყო იგი გამეფებული პირველ ქრისტიანების გონებაში და ცხოვრებაში, რადგანაც ქრისტე გუშინ და დღეს და იგი უცვალებელ არს უკუნისამდე...

მღვ. იოანე ლუკიანოვი.




იმართის სამღვდელოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამოც.

ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი სამღვდელოება მიეჩვენა რიგიანად, დინჯად თავიანთ საქმეების გარჩევას და გონივრულად თავიანთ საჭირობოროტო კითხვების საქმეების გარდაწყვეტას, მაგრამ ძლიერ მოესტყუედით. როგორც ამტკიცებს ფაქტები სამღვდელოების კრება ვერ მიეჩვია დინჯად და რიგიანად საქმეების გბნხილვას და სხვა და სხვა სერიოზულ კითხვათა შესახებ ჯეროვან განჩინებათა დადგენას. დღეს შესრულდა სწორეთ ორმოცი წელიწადი სამღვდელოების კრებათა დაკანონებისა, მაგრამ, რომ დააკვირდეთ საზოგადოდ მთელს სახელმწიფოში სამღვდელოების კრებათა მოქმედებას, და განსაკუთრებით ჩვენში, გაკვირვებული ეუბნები შენს თავს: ნუ თუ სამღვდელოებამ მეტი შეგნება ვერ გამოიჩინა, რომ თავიანთ ათასნაირ სერიოზულ კითხვებზე მეტი გამაქრიანობა ვერ გამოიჩინა? ამ დროის განმამავლობაში, რასაკვირველია, იგი უნდა მიჩვენოდა თავიანთი საქმეების რიგიანად გადაწყვეტას. მაგრამ, სამწუხაროდ, მართო სამღვდელოება არ არის მიზეზი იმისა, რომ მათი მსჯელობანი და მოქმედებანი ასე უფერულნი არიან. ზოგიერთ უფლებათა მქონებელ პირებს ჰგონიათ, რომ სამღვდელოების კრებანი ინიშნებიან მხოლოდ მისთვის, რომ სხვა და სხვა წყაროები გამონახონ სასწავლებელთა შენახვისათვის და სავა საქმეებზე მსჯელობის უფლებაც არა ჰქონდესთ. მართალია, რომ სამღვდელოების კრების მოქმედება ძლიერ შემოფარგლულია, მაგრამ ხშირად თვით სამღვდელოებაც სრულებით არავითარ, ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ დადგენილებას და თუ კრება აბუჩად მიიჩნევენ თავის დადგენილებას სხვა ვინა პატივს დასდებს მათ განჩინებას?

ყველამ კარგად იცის თუ რა უბედურებას განიცდიდა ჩვენი სანთლის ქარხანა კათედრის ეკლესიის სამღვდელოების ბიუროკრატიულ მმართვე გამგეობისდ როს. იციან ყველამ ის ხშირი ცარცვა გლეჯა სანთლის ფულდებისა, რომელიც იქ ხდებოდა. ბოლოს ერთი სოფლის მღვდლის მაცადინობით სამღვდელოების დეპუტატებმა ჩამოართვეს ყოვლად სამღვდელო ბესარიონს სანთლის ქარხნის უკანტროლოდ მმართვე გამგეობა და თავიანთ არჩეულ პირებს ჩააბარეს. მცირეს ხანში დარწმუნდენ ყველანი, რომ საქმე წავიდა გარგად. გავიდა ერთი წელიწადი და ნახევარი. აღარ მიეცა განსვენება ჩვენ ქუთაისის ბიუროკრატებს, დაინმარეს ყ-დ სამღვდელო ბესარიონი და დაადგენინეს სამღვდელოების კრებას უსაფუძვლო და უკანონო ყურნალი, რომელითაც ისევ ჩაუგდეს სანთლის ქარხნის მმართვე გამგეობა ბუქას დროის მართველებს და მხრუნველებს... აღარ არის დეპუტატებში ერთ სულობა და ერთგულობა სანთლის ქარხნის საქმის წარმოებაში და ამისათვის დღემდის ეს საქმე ვერ მიდის კიდევ სასურველად. ყველას დასახული აქვს სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობის დროს უმეტესად თავისი ინტერესი. ამისათვის, რასაკვირველია, საზოგადოდ საქმე წინ ვერ წავა და დიდ ნაყოფს არ მოიტანს. მეორე ფაქტი. სამღვდელოების კრებამ დაავალა სანთლის ქარხნის მმართველს, რომ მექარხნეს თუთხმეტ—ოც ფუთზე მეტი სანთელი

ყველამ კარგად იცის თუ რა უბედურებას განიცდიდა ჩვენი სანთლის ქარხანა კათედრის ეკლესიის სამღვდელოების ბიუროკრატიულ მმართვე გამგეობისდ როს. იციან ყველამ ის ხშირი ცარცვა გლეჯა სანთლის ფულდებისა, რომელიც იქ ხდებოდა. ბოლოს ერთი სოფლის მღვდლის მაცადინობით სამღვდელოების დეპუტატებმა ჩამოართვეს ყოვლად სამღვდელო ბესარიონს სანთლის ქარხნის უკანტროლოდ მმართვე გამგეობა და თავიანთ არჩეულ პირებს ჩააბარეს. მცირეს ხანში დარწმუნდენ ყველანი, რომ საქმე წავიდა გარგად. გავიდა ერთი წელიწადი და ნახევარი. აღარ მიეცა განსვენება ჩვენ ქუთაისის ბიუროკრატებს, დაინმარეს ყ-დ სამღვდელო ბესარიონი და დაადგენინეს სამღვდელოების კრებას უსაფუძვლო და უკანონო ყურნალი, რომელითაც ისევ ჩაუგდეს სანთლის ქარხნის მმართვე გამგეობა ბუქას დროის მართველებს და მხრუნველებს... აღარ არის დეპუტატებში ერთ სულობა და ერთგულობა სანთლის ქარხნის საქმის წარმოებაში და ამისათვის დღემდის ეს საქმე ვერ მიდის კიდევ სასურველად. ყველას დასახული აქვს სანთლის ქარხნის მართვა-გამგეობის დროს უმეტესად თავისი ინტერესი. ამისათვის, რასაკვირველია, საზოგადოდ საქმე წინ ვერ წავა და დიდ ნაყოფს არ მოიტანს. მეორე ფაქტი. სამღვდელოების კრებამ დაავალა სანთლის ქარხნის მმართველს, რომ მექარხნეს თუთხმეტ—ოც ფუთზე მეტი სანთელი



ჩამოსასხმელად არ მისცემოდა. როცა მექარხნე მიღებულ ცვილისაგან დამზადებულ სანთელს ჩააბარებდა მმართველს შემდეგ კიდევ მიიღებდა ჩამოსასხმელ ცვილს. ასე, რომ თუ მექარხნე, სანთლის ჩამომსხმელი ოსტატი, ბოროტად მოიქცეოდა, გაკოტრდებოდა, ან გიიპარებოდა ოცი ფუთის ცვილის ფასი დაედებოდა მას ამოსაგებად. ეხლა ვკითხვით ჩვენ იმერეთის სამღვდელთა კრების დეპუტატებს: როგორ მოხდა, რომ მ. ბოლქვაძეს 2600 მანეთი დაედვა გადასახდელად? რა საჭირო იყო ებისკოპოსის მდივნისთვის სამასი მანეთი ფული მიეცათ ამ ფულების ამოსაგებად, როდესაც მმართველი იყო პასუხის მგებელი ეხლა ეს ფულები და თვითონ მოეთხოვა მას (მართველს) ბოლქვაძისათვის? განემარტა სამღვდელთა კრებას ყოველივე ეს ერთი დეპუტატისაგან, მაგრამ კრებამ სრულებით ყურადღება არ მიაქცია ამ განცხადებას... უკანასკნელ კრებაზე ზოგიერთმა დეპუტატებმა, რომელთაც გროში კაპეიკი არ გაუღიოთ სასწავლებლის შესანახად დიდი გულუხვობა გამოიჩინეს და განაცხადეს, რომ ბოლქვაძეს უნდა ეპატიოს 2800 მანეთიო!.. დიახ, ასეთი გავლენა აქვს ხან და ხან ზოგიერთ დეპუტატებზე ერთ სადილსაც!?

კიდევ ფაქტი, მთელი ერთი კვირა გაატარა სამღვდელთა კრებამ სულ უმნიშვნელო ბაასობაში და უკანასკნელ დღეს, როცა გათავებული იყო თითქმის კრება, ორ საათში შედგა ჟურნალები, რომლის შინაარსი სრულებით არ იცინა ყველა დეპუტატებმა. მაგალითებრ, კრების ქალაღებში ჩვენ ვნახეთ ერთი ჟურნალი, რომლითაც ითხოვებოდა კრებისგან ოთხი ათასი მანეთის მიცემა მამა სიმონ მჭედლიძისამან იმ ფულებიდან, რომელიც იყო გადაცემული ქუთაისში არსებულ სემინარიისათვის. მამა სიმონ მჭედლიძე, ლიტონი სიტყვით, პირდებოდა სასულიერო მთავრობას, რომ იგი, მჭედლიძე მისცემს ყოველ წლობით რვა წლის განმავლობაში 500 მანეთობით და ბოლოს მთელს სტამბას გარდასცემს სამღვდელთა კრებას. სამღვდელთა კრების ზოგიერთ დეპუტატებს მოსწონებოდათ ეს დაპირება მჭედლიძისა და დაედგინათ ჟურნალი ამ ფულების მიცემაზე. მადლობა ღმერთს, რომ მღვდელთ-მთავარს არ დაემტკიცებია ეს ჟურნალი, თორემ ხომ სულ დაიკარგებოდა ეს ფულები?..

სიმონ მჭედლიძემ ოთხი ათასი მანეთი მიიღო სამღვდელთა კრების ფულები. გამართა მშვენიერი სტამბა. დააყენა მუშები, დაბეჭდა აუარებელი წიგნები, განსაკუთრებით ტონკეტლის შესანიშნავი ლექსები, შემოუვიდა დიდი ფული. რვა წელიწადში მთლად გარდაიხადა ვალი და სამღვდელთა კრებას გარდასცა სტამბა მუქთად... რაც მოვალეები დასდევს უკან ისინიც მთლად გაისტუმრა. განა ამ ფულის სესხებაზე უარი უნდა უთხრას კაცმა მამა ს. მჭედლიძეს!..

ასეთივე შეცდომა ჩაიდინა სამღვდელთა კრებამ ოთხი ხუთი წლის წინეთ. ბლალაჩინი ი. წერეთელი, მღვ. ვ. აბრამიშვილი და აბიათარ იაკობაშვილი დაპირდნ სამღვდელთა კრებას, რომ თუ ათას მანეთს გვასესხებთ სანთლის ქარხნიდან ისეთ საფუტკრეს დავაარებთ ქალის მთაშიო, რომ საჭირო ცვილი სანთლის ქარხანამ სულ ამ საფუტკრიდან მიიღოსო, ოთხ წელიწადში ნახევარ შემოსავალს ისინი მისცემენ სანთლის ქარხანას და მერე ოთხი წლის შემდეგ მთლად დაუტოვებთ ქარხანასაო. მაშინვე განუცხადა დეკ. დ. ლ—ძემ კრებას ფულები არ მიეცა ხსენებულ პირებისათვის, თორემ სამღვდელთა კრებას დაეკარგება იგიო და ორ გირვანქა სანთელსაც ვერ მიიღებთ მათგანო. არ დაუჯერა კრებამ ეს დეკ. დ. ლამბაშიძეს და მისცა ათასი მანეთი. ექვსი წლის შემდეგ კრება ადგენს: „თუ ათასი მანეთი არ გარდაიხადონ ერთი თვის განმავლობაში ბლალაჩინად ნამყოფმა ი. წერეთელმა აბიათარ იაკობაშვილმა და აბრამიშვილმა მღვდელთ-მოქმედების აღსრულება აეკრძალოსო.“ თუ თვითონ ვერ მიხვდა კრება, რომ იგი შემცდარი იყო, რატომ არ დაუჯერეს იმათ, რომელნიც უმტკიცებდნ ამისთანა სესხის გაცემის უკანონობას და აუსრულებლობას? ვინ გაძღვეს 8 წლის სარგებელს ათასი მანეთისას? რამდენი ფულებია დაკარგული სამღვდელთა კრების დეპუტატების ასე მოუფიქრებლად გარდაწყვეტილებით?..

ერთი უმთავრესი უბედურება საზოგადოებისა მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად არც ესმის საქმე და არც შეგნებული კაცის რჩევას მიიღებს. რატომ არ უნდა დაფიქრდეთ და არ მივხვდეთ თუ რა არის სასარგებლო ჩვენთვის ან საზარალო? თუ თვითონ ვერ მივხვდებით რატომ არ უნდა მივიღოთ შეგნებული კაცის რჩევა, რომ თავიდან ავიცილი-

ნოთ მოსალოდნელი ზარალი? მაგრამ არა, ხშირად მთელი საზოგადოება დარწმუნებულულია მისი გარდაწყვეტილება საზარლო და დამღუპველია საზოგადო საქმისთვის, მაგრამ კერძოთ რამდენიმე პირისათვის კი სასარგებლოდ დარჩება. ამისათვის მთელი საზოგადოების სასარგებლო საქმეს სწირავენ თავის კერძო სარგებლობას. ოღონდ მან ისარგებლოს და მთელი საზოგადოების ინტერესი მის კერძო პირად სარგებლობას დაენაცვალოს?

ამისთანა სამწუხარო მოსაზრებით ხშირად კოქლობს საზოგადოდ სამღვდელოების დებუტატების კრებები და ჩვენში, განსაკუთრებით უმეტესად.

ამისათვისაც არის, რომ სამღვდელოების კრებების დადგენილობას ასე აბუჩად დაუწყეს ყურება. ბევრ ადგილას მღვდელთ მთავრები დებუტატების მაგიერ ბლალოჩინებს შეკრებენ და მათი დადგენილებით ხელმძღვანელობენ. ზოგიერთ ადგილას შეკრებილი დებუტატებისაგან მღვდელთ-მთავრები აირჩევენ უფრო საიმედო ორ-სამ დებუტატს და ორი სამი დებუტატის დადგენილობის ძალით მოქმედებენ. ამისათვისაც არის, რომ ჩვენი სამღვდელოების საქმე უკან თუ იწევს, თორემ წინმსვლელობა არ ეტყობა... არ იცის კაცმა დიდხანს გაატანს ორმოცი წლის განმავლობაში მომქედი კანონები სამღვდელოების კრებათა შესახებ, თუ მალე გაუქმდება. შეიძლება კანონები დარჩეს, მაგრამ მნიშვნელობა კი სრულებით არ ექნება ისე როგორც სასულიერო კონსისტორიის კანონებს არა აქვსთ სამღვდელოების კურთხევის საქმეში... რომ წაიკითხავთ სასულიერო კონსისტორიის წესდებულებას იტყვიან: ნეტავი იმ ხალხს ვისაც ესეთი კანონები აქვსო. თუ კარგად დაუკვირდი ამ კანონების ასრულებას ცხოვრებაში მაშინ კი სულ სხვას იტყვი...

დამსწრე.


ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * „კავკაზ“-ის სიტყვით, ნამესტნიკი გრ. ვორონცოვ-დაშკოვი პეტერბურგიდან წამოვა 20 ოქტომბერს. ამ რიგა, მართალი არ გამოდგა ხმები ახალ ნამესტნიკის დანიშვნის შესახებ.

* * * როგორც გურიიდან იუწყებიან ს. ჩიბათში ხოლერა გაჩენილა. ამას წინად იქ ჩასულა ერთი ბავშვი, რომელიც ხოლერის ნიშნებით გამხდარა ავად. დროზედ ყურადღება არ მიუქცევიათ და ხოლერით რამდენიმე კაცი გამხდარა ავად. დღემდე ამ სენით გარდაცვლილა 7 კაცი.

* * * როგორც გაზეთი „ბაქო“ გვატყობინებს, მინისტრთა საბჭო კავკასიის ნამესტნიკის ვორონცოვ-დაშკოვის მონაწილეობით განიხილავს საკითხს იმის შესახებ, დროა თუ არა, მემარჯვენეთა კომპანიის გამო, კავკასიაში რეფორმები შემოიღონ.

* * * აკაკის იუბილეა ქუთაისში. წარსულ კვირას არჩეული აკაკის საიუბილეო კომიტეტი პირველად შეიკრიბა ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ათ ამ ამ თვეს. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი მოსე ქიქოძე, მის ამხანაგად დავით კლდიაშვილი და მდივნებად—გრიგოლ აბაკელია და არტემ ქუმბაძე. კომიტეტმა მსჯელობა იქონია იუბილეს შესახებ და შემდეგი დაადგინა: 1. კომიტეტის წევრთა შესავსებად მოხდეს ქალთა კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს თავისი წარმომადგენელი კომიტეტში; 2. ტფილისის დღესასწაულებში ქუთაისმა დიდი მონაწილეობა მიიღოს დებუტატების გაგზავნით და ადრესების მიერთებით; 3. ქუთაისში ტფილისის დღესასწაულების შემდეგ გაიმართოს დამოუკიდებელი დღესასწაული, რომლისთვისაც მოწვეულ იქნენ დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის წარმომადგენელი; 4. ტფილისის დღესასწაულის დღეს ქუთაისში გადახდილ იქნას პარაკლისი და, გარდა ამისა, ყველა სასწავლებელს წინადადება მიეცეს გამართოს სალიტერატურო დღე; 5. წინადადება მიეცეს სხვა და სხვა დაწესებულებას შეაგროვონ აკაკის ფონდისათვის ფული. ამავე მიზნისათვის გამოცხადდეს ხელის მოწერა.



* * თვად-აზნაურთა კრებამ, როცა მსჯელობა ჰქონდა სტიპენდიების დაარსების შესახებ, გადასწყვიტა, ვადა გასული სტიპენდიები აღარ გაიცეს, რადგან უმალღესად მოცემული ფული ქართულ გიმნაზიის შენობის დამთავრებას უნდა მოხმარდეს. ასეთი გარდაწყვეტილება, როგორცა სჩანს, თვად-აზნაურთა წინამძღოლს თავისთვის სავალდებულოდ არ მიაჩნია და ამას წინად განთავისუფლებული ერთი სტიპენდია გადაუცია იმ სტუდენტისთვის, რომელმაც ამას წინად ცირკში ქიდაობით ისახელა თავი...

* * ხონიდან გვწერენ: „აქ უკვე შესდგა კომიტეტი აკაკის იუბილეს სადღესასწაულოდ. კრებაზე გადასწყდა გაიგზავნოს ტფილისს იუბილეს დღეს დეპუტაცია შ კაცისაგან ადრესის წასაკითხავად. იუბილეს დღეს ხონში გამართული იქნება საღამო. წაკითხული იქნება აკაკის ლექსები, წარმოდგენილი იქნება პიესაც“.

* * ქალაქ კერზში, „პეტ. დევეშათა სააგენტოს“ სიტყვით, შეუპყრიათ მცარცველთა ბრბო. რომელიც თურმე სულ ქართველებისაგან ყოფილა შემდგარი. ეს ქართველები რუსეთის სანაოსნო საზოგადოებაში მსახურებდნენ. უნახავთ რამდენიმე რევოლვერი, ხანჯალი და პატრონები.

* * შჰის ქცევა და ელჩების პრეტესტი. ინგლისელი კორესპონდენტები იუწყებიან თეირანიდან, რომ შაჰმა არ შეასრულა უკანასკნელ მანიფესტში გამოცხადებული დაპირება და რომ ამ მანიფესტით დანიშნული ვადა ახალ საარჩევნო კანონის გამოცხადებისა და არჩევნის დაწყებისთვის უკვე გავიდა, მაგრამ არჩევნების დაწყებაზე ჩამი-ჩამიც არ ისმოდა.

სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გაახსენეს შაჰს, რომ უკვე რვა დღე გავიდა დანიშნულ ვადის შემდეგო. შაჰმა უპასუხა, რომ ახალი ბრძანება არჩევნის შესახებ ეხლა იბეჭდება; როდის იქნება იგი გამოცხადებული, — არ ვიცო. ყველანი ააშფოთა ასეთმა პასუხმა (რ. ს.).

* * შაჰმა თავის ყაზახები გაგზავნა თაერისში რუსის აფიცრების მეთაურობით. ინგლისი ელჩმა პროტესტი გამოაცხადა ამის თაობაზე და შაჰი იძულებული იყო რუსის აფიცრები დაებრუნებინათ გზიდან — ქალ. ყაზვინიდან. ეს აფიცრები ისევ

თეირანში დაბრუნდნენ. ყაზვინიდან თაერისისკენ ყაზახები წავიდნენ სპარსელ გენერლის ალიანგის უფროსობის ქვეშ.

* * 19 ოქტომბერს ბაქოს ალექსანდრე მესაენეს სახელობის გიმნაზიისთვის ვილასაც ცეცხლი წაუკიდებია. მალე შეუნიშნავთ და ჩაუქვრიათ.

* * სინოდისა და ობერ პროკურორისაგან სანდო პირები მოვიდნენ ტფილისში და რევიზია მოახდინეს სინოდის კანტორაში. ეს რევიზორები ქუთაისში და ფოთშიაც რევიზიას მოახდენენ საეპარქიო კანცელარიებში. აქ იმედია ბევრ რამეს ნახვენ კანტორის შესახებ. როგორც ამბობენ ბევრი რამ საყურადღებო უნახავსთ სინოდის დაწესებულებაში. მაგრამ თუ კვიტანციები არ აღმოჩნდა ქთამების მიღებაზე, ვგონებთ, არაფერი ცვლილება მოხდეს. ძნელია სინოდმა უარპყოს ასი წლის განმავლობაში არსებული დაწესებულებანი. ერთი დეკაბრისტი სწერს: ისე მივეწვიეთ ფეხებსა და ხელებში რკინის ბორკილებს, რომ მერვე წელიწადზე როცა მოწყალემა მოიღეს და შემხსნეს ცოტა ხნის განმავლობაში ღამე ისე აღარ გვეძინებოდა ტკბილათ როგორც ხელხუნდშიო. ხუმრობა საქმე კი არ არის დიდხანს რამეს მიჩვევა, მერმე დღეს როცა ახალი წესის შემოღება უამისოთ ეზარებათ...

* * ყოფილი დეპუტატების დასჯა. სენატმა განიხილა მეორე სათათბიროს სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის საქმე და მიუსჯა: კომარს გადასახლება, ჟიდელაფს და სსდტიკაფს 5 წლის კატორღა და ზურაბაფს 4 წლ. კატორღა.

* * როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, საქართველოს ექსარხის თანამდებობაზე კალიდატად წამოუყენებიათ ვოლინის მთავა-ეპისკოპოსი ცნობილი ანტონი (ნიკოლოზ ხრაპოვიცი). ექსარხოსის დანიშვნის საქმე მალე გადასწყდება თურმე პეტერბურგში.

* * თიანეთიდან ატყობინებენ „ამირანს“: 26 ოქტომბერს, საღამოთი, ქორწინების წესის შესრულების დროს ტრაპეზში მოუკლავთ სოფ. სვიმონიანთხევის მღვდელთა თურქაძე, მკვლელები ვერ შეუპყრიათ. მკვლელობის მიზეზი არავინ იცის.

* * იმერეთის ეპარქიის უკანასკნელმა სამღვდლოების დეპუტატების კრებამ აირჩია ვექილად დეკნოზი დავით ლამბაშიძე და მიანდო მას თხოვნის აღძვრა განათავისუფლონ სამღვდლოება კათედრის ეკკლესიის, მღვდელთ-მთავრის, მისი კანცელარიის და სასწავლებლის ნორმალური კლასების შენახვისაგან. მოითხოვოს ექსარხოსიდან დაწყებული ხელმწიფედის, რომ ზემოხსენებული დაწესებულებანი და მოსამსახურე პირები ინახებოდნენ სახელმწიფო ხაზინის ფულებით, ისე როგორც ინახებიან მთელს იმპერიაში. ამ კითხვის შესახებ წინეთ იყო აღძრული კითხვა და თხოვნაც იყო გაგზავნილი ექსარხოსთან, მაგრამ პასუხი არ ყოფილა მიღებული. დეკ. დ. ლამბაშიძემ მიიღო რა საჭირო ქალაქები შეიტყო ექსარხოსის კანცელარიაში, თუ რა მდგომარეობაშია აღძრული სამღვდლოებისგან კითხვა. როგორც აღმოჩნდა ექსარხოსის კარცელარიის საქმეებიდან წარსულ წელში ექსარხოს ნიკონს წარუდგენია სამღვდლოების თხოვნა სინოდში, მაგრამ სინოდიდგან არაფერი ცნობა არ არის მიღებული. დეკ. დ. ლამბაშიძე მიიქცა სინოდის კანცელარიისადმი თხოვნით აცნობონ მას საქმის მდგომარეობა. თუ სინოდმა უყურადღებოდ დასტოვა სამღვდლოების თხოვნა იგი ხელმწიფეს მისცემს ამაზე თხოვნას.

შურნალ-გაზეთებიდან


საისტორიო საზოგად. ღინგვისტაკური განყოფილების კრება.

22 დეინობ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ღინგვისტიკურის განყოფილების კრებაზე წაკითხულ იქნაორი მოხსენება: 1, ბ-ნის ვ. გაბინიანცისა „ქართულის ენის კვლევის საგანი სომხურის ღინგვისტიკის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებით“ და 2, დ. კარიჭაშვილისა „როგორ უნდა მოეწყოს ქართულის ლექსიკონის შესადგენად საჭირო მასალის შეგროვება“ ბ-ნა გაბინიანცმა აღნიშნა, რომ უკანასკნელს ხანში ქართულის ენის და მწერლობის კვლევა იქცევს დიდს ყურადღებას ევროპის ღინგვისტთა შორის და ბევრგან ცდილობენ კიდევ დაარსონ უნივერსიტეტებში ქართული ენის კათედრა. ბერლინის

უნივერსიტეტში კიდევ იკითხება თურმე პრივატ-დოცენტის ფინკის მიერ ლექციები ქართულის ენის შესახებ, მეცნიერები ცდილობენ შეისწავლონ ქართული ენა, მაგრამ თვით ქარველები ცოტა მასალას აძლევენ მათ ცნობის მოყვარეობას, თითქმის სრულებით არაფერია გაკეთებული ქართველთაგან თავიანთ ენის და მწერლობის გამოსაკვლევად. ამის შემდეგ მოიხსენია, თუ რა ბევრი გაუკეთებიათ სომხებს თავიანთ ენის და მწერლობის გამოსაკვლევად. ამიტომაც არის, რომ ევროპიელმა ღინგვისტებმა კარგად იციან სომხური ენა და ძალიან კარგადაც იკვლევენ მას ისინი. ბ-ნმა გაბინიანცმა გამოთქვა იმედი, რომ ქართველები გაითვალისწინებენ იმ პროცესს, რომელიც გაუვლია სომხურის ღინგვისტიკის განვითარებას. აიცილდნენ თავიდან იმ შეცდომებს, რომელიც ჩაუდენიათ სომხის ღინგვისტებს, და დაადგებიან იმ გზას, რომელიც შეუცდომლად მიადწევენ მისი ხანს. ეს გზა, მომხსენებელის აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ქართველმა ღინგვისტებმა გამოაქვეყნონ მწერლობითი ნაშთები მეცნიერულის სისწორით და შეუდგენვე გამოკვლევას ჯერ თვით თეულის ქართველის დიალექტისას ცალ-ცალკე და შემდეგ მათ შედარებას ერთმანეთთან და უძველესს ქართულთან.

ეს მოხსენება მოსმენილ იქნა დიდის ყურადღებით მომხსენებელი დააჯილდოვებს ტაშის ცემით.

დ. კარიჭაშვილის მოხსენება წარმოადგენს გეგმას მუშაობისას ქართულის ლექსიკონისთვის შესაგროვებლად- მასალა ასეთის ლექსიკონისთვის, მომხსენებელის აზრით, უნდა მოძებნილ იქნას 1, არსებულ ლექსიკონებში, 2, ძველს მწერლობაში, 3, ახალს მწერლობაში, 4, სხვა და სხვა წერილობითს დოკუმენტებში, როგორც მაგალითად სიგელები, გუჯრები, წარწერები დე სხვებია, 5, სახალხო სიტყვიერებაში და 6, ცოცხალს სალაპარაკო ენაში. შრომის საფუძვლად უნდა მიღებული იქნას დ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი. ზემოხსენებულის მასალებითგან უნდა ამოკრეფის იქნას ყველა ის სიტყვები რომელნიც ჩუბინაშვილის ლექსიკონში ან სრულებით არ არიან შეტანილნი, ან სავსებით და სისწორით არ არიან განმარტებულნი. ყოველის სიტყვის განმარტება უნდა იწერებოდეს ცალ-ცალკე პატარა ქალღის ნაჭერზე (თაბახის 1/16-ზე). განმარტების



დასასაბუთებლად უნდა მოტანილ იქნენ ის ფრაზები, რომლებშიაც კი გასამარტებელი სიტყვები ნახმარნი არიან, მწერლობაში. განმარტების სისრულისათვის ყოველის სიტყვის განმარტებასთან ერთად უნდა იყვეს მოხსენებული მისი მნიშვნელობა რუსულს ან რომელსავე ევროპიულს ენაზე. ასე შეგროვილი და განმარტებული სიტყვები წაკითხულ იქნებიან განყოფილების კრებაზე და საზოგადოების ბიბლიოთეკაში, სადაც იგინი დალაგებრლ იქნებიან ანბანის რიგზე. ყოველის სიტყვის განმარტებას ექნება მოწერილი სახელი და გვარი მის წარმომადგენლისა. შეგროვილი მასალა შეინახება მთლად ლექსიკონის გნმოცემაძდე, მანამდე კი დაიბეჭდება მხოლოდ იმისთანა სიტყვების განმარტება რომელნიც ტერმინებად გამოდგება სახელმძღვანელოთათვის.

მეგრისის, ჭანურის და სვანურის სიტყვების შეგროვება და განმარტებაც ამნაირადვე უნდა ხდებოდეს. რადგან ჯერ-ჯერობით არ არის დაბეჭდილი არც ერთი ლექსიკონი ამ ენებისა, ამიტომ შეგროვილი მასალა თანდათანობით დაიბეჭდება მიეცემათ საშუალება შემდეგში მხოლოდ ახალი და დაუბეჭდავი მასალა აგროვოს.

ქართულის ლექსიკონისთვის მასალის შეგროვებასთან ერთად უნდა სდგებოდეს რუსულ-ქართული ლექსიკონიც. აქაც საფუძვლად იქნება მიღებული დ. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიცაც თან შესწორდება და შეივსება ახალის სიტყვებით.

ეს მოხსენება განყოფილებამ მიიღო სახელმძღვანელოდ იმ დამატებათ, რომ სალექსიკონო მასალა კი არ ინახებოდეს მთლად ლექსიკონის დაბეჭდვამდე, არამედ თანდათან იბეჭდებოდეს საზოგადოების გამოცემაში.

ბოლოს განყოფილებამ აირჩია თავის მდივნად ზაქ. გრ. ბილიანაშვილი, რადგან ბ-ნმა ს. გორგაძემ, რომელიც წარსულ კრებაზე დროებით დათანხმდა მდივნობას, ითხოვა გათავისუფლება ამ თანამდებობითგან.

რამელიუსია ოსმალეთში.

რეაქციონერების მიტინგი


16 ოქტომბერს სტამბოლში სოფიის მეჩითთან რეაქციონერებმა მოახდინეს დიდი მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10,000 კაცმა,

უმთავრესად „ქეშმარიტ ოსმალებმა“. ორატორებად მიტინგზე გამოვიდნენ ჩალომოსნებმა მსმენელნი ყვიროდნენ: „გაუმარჯოს დიდებულ ოტომანთა იმპერიას, გაუმარჯოს ისლამს, გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოს ჯარს! ძირს ბოლგარია და აკსტრო-ჰუნგრეთი! ძირს ურჯულოვები!“ მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომ ოსმალეთის ხალხი მზათ უნდა იყოს ბრძოლისათვისაო. გინდ ევროპის სახელმწიფოებმა მოითმინონ ბერლინის ხელშეკრულების დარღვევა, ამას ვერ მოითმენენ მთელის ქვეყნიერობის მუსულმანები, რომლებიც, თუ საჭირო იქნება, ყველანი დადგებიან წინასწარმეტყველის მწვანე ბაირალის ქვეშაო. კრებამ მოითხოვა, რომ მთავრობამ ბეჯითი ღონისძიება მიიღოს და განაცხადა, რომ ყველანი მზათ ვართ. ჩვენი სიტკიცხლე და ქონება შევისროთ სამშობლოსაო.

მიტინგში მონაწილეობის მიმდებნი ბაირაღებით გაემართნენ ილდიზ-კიოსკში, სადაც მოითხოვეს, რომ ფადი-შაჰი გამოსულიყო. ფადი-შაჰი ფანჯარასთან გადმოდგა, სალამი მისცა ხალხს, რომელიც უყვიროდა „ცხვარი უმწყესოდ არ იქნება; შენ ჩვენი მწყემსი ხარ, ჩვენ—შენი ცხვრები. გაუმარჯოს 300 მილიონ მუსულმანის ხალიფს!“

ხალხი მზის ჩასვლამდე დარჩა ილდიზ კიოსკთან და მხოლოდ მაშინ დაიშალა, როდესაც ზარბაზნის სროლამ აუწყა ყველას, „რამაზანის მარხვა გათავდა, დროა პირი გაიხსნილოთო!“ სულთანის კამერჰერმა ბეკირ-ბეიმ უხვად გადაუყარა ხალხს ვერცხლის ფული პირის გასამხსნილებლათ და ამით აუწერელ აღტაცებაში მოიყვანა ყველანი. ხალხი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ყვიროდა: „გაუმარჯოს ფადიშაჰს!“

ღამე ზოგიერთ მეჩითებსა და სტამბოლის ქუჩიან ქუჩებში იპოვეს პროკლამაციები, რომლებიც ოსმალებს იწვევდნენ საობრად სჯულისთვის. ქრისტიანები შეშინდნენ, იფიქრეს—ოსმალები ხოცვას დაგვიწყებენო და მთელი სტამბოლი აღელდა, ყველა შურობს იარაღი შეიძინოს. მეჩითები, ქუჩები და მოედნები გაიქედა ხალხით, რომელიც გაჩქარებით მიდის იარაღის მალაზიებში, სადაც ძლივს-ძლივობით ასდიან მუშტრის გასტუმრებას. ოსმალები და ქრისტიანები ერთი ერთმანეთს ხელიდან ჰგლეჯენ იარაღს, საჩქაროდ აბა-



რებენ ფულს მაღაზიის პატრონს და შინისკენ მიე-
შურებიან... ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა კი-
დევ დაიბარა ორი ბატალიონი განთქმულ მე-3
კორპუსისა სალონიკიდან სალონიკიდან სტამბოლ-
ში წესიერების დასაცველად.

უცხოეთის ამბავი.

ახალგაზდა ჩინელები.

ამ ჟამად ჩინელ სტუდენტს ყველგან შეჰხვ-
დება კაცი: ევროპისა, ამერიკისა და იაპონიის ყო-
ველნაირი უმაღლესი სასწავლებლები სავსეა ჩინელ
ყმაწვილკაცებით. სხვათა შორის ჩინელი სტუდენ-
ტები არიან პეტერბურგშიაც; იქაურ უნივერსი-
ტეტში ამ ჟამად სწავლობს 20 ჩინელი ახალგაზდა,
რომელთაც შეუდგენიათ პოლიტიკური პარტია იმ
აზრით, რომ თავიანთ სამშობლოს კონსტიტუცია
მოუპოვონ. ერთ ჩინელ სტუდენტს პეტერბურგში
უთქვამს „რეჩ“-ის თანამშრომლისთვის:

—ევროპის ყველა დიდ ქალაქებში უკვე დი-
დი ხანია არსებობენ მაგნიური საზოგადოებანი.
ჩვეთა პარტიის უმოაგრესი კომიტეტი იმყოფება
პარიზში. ჩინელთა კოლონიის პარიზში დიდი შეძ-
ლება აქვს და ბეჯითად ეხმარება კომიტეტს. პა-
რიზში ორი გაზეთი გამოდის ჩინურ ენაზე. უმ-
თავრეს მათგანს ჰქვია „სინ-შიე“, რაც ნიშნავს
„ახალ სინათლეს“, მიმართულება წმინდა კონსტი-
ტუციონური აქვს.

თვითმკვლავობა სოფელად.

წერილი ვანიდან (იმერეთი)

საშინელის სისწრაფით ირყვნება ხალხი, ძვე-
ლი ქართველი არავითარ ჭირის დროს გულს არ
გაიტეხავდა, ყოველს განსაცდელს გამირულად იტან-
და და არ გაგონილა, რომ იმ დროს კაცს თავი
მოეკლას: თვით უუკიდურესს გასაჭირში მას ამხნე-
ვებდა ცხოველი სარწმუნოებრივი გრძნობა და
სიყვარული ოჯახობისა.

დღეს-კი გლეხობა გამოიცვალა; რაკი ცხოვე-
ლი სარწმუნოება შეერყა ცრუ პროპაგანდების
ზედგავლენით და თვით ოჯახური სიყვარული
შეუსუსტა იმ ადამიანთა შთაგონებით, რომელნიც
აშკარად უარყოფდნ ნათესაურს კავშირს, მან სულ
მცირე განსაცდელიც ვერ იტანა. აი, მაგალითები:

სულ ამ სამ-ოთხ კვირაში ჩვენს ახლო მახლო
სოფლებში ოთხი შემთხვევა მოხდა თავის მოკვ-
ლისა გლეხებში. თავი მოიკლეს ვასო სანადირაძემ
22 წლისამ, გაუთხოვარმა 18 წლის ქალმა ნანაძემ,
—ახალგაზდა ქალმა გიორგაძემ, და ხანში შესულ-
მა 50 წლის დედაკაცმა ლომიძემ ყველამ სულ
უბრალო მიზეზით! სწორეთ რომ საოცარი მოვ-
ლენაა, რომელმაც ყოველი გონიერი კაცი უნდა
დააფიქროს. იცოდეთ, რომ როცა გლეხები ასე
ადვალად სიცოცხლეზე ხელს იღებენ, ეს მეტად
ცუდი ნიშანია და პრესსა მოვალეა ამაზე დაფიქრ-
დეს, ღონე იღონოს, მიზეზები ეძიოს, სახსარი
მოიპოვოს („სავაჭრო გზა.“)


რამელ ანბანს ხმარობდენ ქართველნი ხუცურ ანბანის
შემადგებამდე?

ცნობილს მეცნიერს ჩვენის ძველის მწერლო-
ბისას, ნ. ტ. დადიანს, ჰქონოდა უცხო ანბანით
დაწერილი „ნერბოთიანი“, რომელშიაც აღწერილი
ყოფილა უუძველესი ამბები საქართველოს ცხოვ-
რებისა ტყავზე დაწერილი ფრიად ძველს დროს.
ეს წიგნი დაიწვა ყვირილას სახლთან ერთად.*) და-
დიანს იმ წიგნის წაკითხვა შეუესწავლია იმ ანბანე-
ბის მეოხებით, რომელიც წიგნის ბოლოში ყოფი-
ლა ჩართული მერმინდელ დროის ხელით.

დიდად ვთხოვე და დადიანმა დამიწერა ის
ანბანები. მესამე დღეს მას შემდეგ მე ხელახლა
შევედ და მოვახსენე: ის ანბანი დამეკარგა-მეთქი
და ხელახლა დავაწერინე, რათა დავრწმუნებული-
ყავ იმაში, რომ მას მეხსიერება არ ღალატობდა
და ჭეშმარიტებას არ უხვევდა. მეორეთაც დამიწე-
რა, ისევ ის გამოდგა.

ახლა ორივე მისგან დაწერილი ანბანი ხელთა
მაქვს. გარდა ამისა, სხვა ხელნაწერებშიც ვიპოვე
ნიმუშები იმავე ანბანებისა, რამდენადმე გადასხვა-
ვებული უახლოვესს საუკუნოებში. მაგრამ მათი
ერთობა მაინც ეჭვს გარეშეა. რა თქმა უნდა, ეს
ის ანბანებია, რომლითაც იწერებოდა ძველად
წიგნები და რომაითაც, ვგონებ, წაწერილია რამ-
დენივე ქვა „ვანის წარწერათა“, მეცნიერთაგან

*) ყვირილაში დადიანს არც სახლი ქონდა და არც
არაფერი დაწვია. რედაქტორი.



გამოუკვლეველი. გამომცემელი მინდა, თუ ვინმე იკისრებს და ფასს გაიმეტებს.

ძველა სენაკიდან.

(ლევან ქავთარაძის დასაფლავება)

12 ოქტომბერს ძველ სენაკში დასაფლავეს ადგილობრივი შეძლებული მემამულე აზ. ლევან მის. ქავთარაძე. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. მწირველი იყო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი. განსვენებულის ოჯახს, რომელიც დიდ სავაჭრო საქმეებსაც აწარმოებს სამეგრელოში ძმ. ქავთარაძეების და ამხ. ფირმით, საპატრო სახელი აქვს დამსახურებული სამეგრელოში. რომ ეს ასეა, ერთი მხრით იქიდგანაც სჩანს, რომ განსვენებულის დასაფლავებას 4000-მდე ქალი და კაცი დაესწრო, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ჩვეულებრივი ტირილი არ ყოფილა და არც არავინ მოუწვევიათ ჭირისუფლებს ოფიციალურად.

მიცვალებულის მემკვიდრეებმა, მამის ანდერძის თანახმად, ხუთასი მანეთი შესწირეს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ყოვლად სამღვდლო ლეონიდი და თავის მგრძობიარე სიტყვაში აღნიშნა რა ამ საზოგადოების მნიშვნელობა და მისი მდგომარეობა, წასაბაძავ მაგალითად დაუსახა დამსწრეთ განსვენებულის ანდერძი.

საზ. სკოლის მასწ. მ. ლორთქიფანიძემ წარმოსთქვა შემდეგი:

„ქრისტე ღმერთმა თავისი უხვების კალთა ჩვენს ქვეყანაში დაბლერტაო“ — ამბობს ქართული ანდაზა ეს თქმულება, როგორც ნაყოფი ხალხის დაკვირვებისა, დამახასიათებელია იმ აუცილებელი ქეშმარიტებისა, რომ ჩვენი ქვეყანა ბუნებით მდიდარია და ჩვენ კი, შეილნი ამა ქვეყნისანი, ძლიერ ღარიბნი ვართ! ერთის შეხედვით ეს პირობათა ანი-

რებული შეუსაბამობაა, მაგრამ სინამდვილე კი ასეთია და სავალალო უფრო ისაა, რომ ამ უკუღმართ მოვლენის წარმოშობაში, მრავალ ისტორიულ მიზეზთა შორის, დიდი წილი უძევს თვით ჩვენი ხალხის უმეცრებას, ბედოვლათობასა და მცონარეობას.

მართალია, მრავალ საუკუნოების განმავლობაში უკუღმართმა ისტორიულმა პირობებმა მოუშადეს ნიადაგი ჩვენი ერის უმეცრებას, მცონარეობას და ბედოვლათობას, და ამ მანკიერებათა შედეგს—სიღარიბეს, მაგრამ თუ ცოტაოდენი სიმართლე მაინც არის ერთი მეცნიერის სიტყვებში, რომელიც ამბობს: „ყოველი კაცი უფალია თავისი მდგომარეობისაო“, მაშინ მთელ ერს ხომ მეტიც მოეთხოვება. ჩვენი ერი კი, სამწუხაროდ, თავის არამც თუ უფლად ყოფნას, კარგ ჭირისუფლობასაც ვერ დაიჩემებს. თუმცა ასეთია საერთო სურათი ჩვენი ერის ცხოვრებისა, მაგრამ, საბედნიეროდ, სანუგეშო გამონაკლისებს მის ცხოვრებაშიც ვამჩნევთ. ამგვარ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა განსვენებული ლევანიც. მას მართლა თამამად შეეძლო ეთქვა: „მე უფალი ვარ ჩემი მდგომარეობისა, რადგან არარაისაგან შევქენ იგიო“.

განსვენებულმა, როგორც ბუნებით ჭკვიანმა კაცმა, ღილო თანამედროვე ცხოვრების ალლო, გონივრულად შეუფარდა თავისი მოქმედება ამ ცხოვრების პირობებს და შექმნა თავისი თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, არა უეცრად მოვლინებულ ბედნიერ შემთხვევის მეოხებით და არც უშრომლად, წინაპართაგან შეძენილ დოვლათის ხელოვნურად უკუღმართად ზრდით, არამედ მრავალ წლოების განმავლობაში მედგარი მხნეობით, დაუხარებელი შრომით და გონივრული მომჭირნეობით. — დიდი განძია გონივრული მომჭირნეობის უნარი... კარგ მშოვნელს კარგი შემნახველი სჯობიაო! — ტყუილად როდი ამბობს ქართული ანდაზა. — ეს ანდაზა თვით განსვენებულისაგან ხშირად მსმენია და ვფიქრობ, რომ იგი

ამ თქმულების აზრის ცხოვრებაში მტკიცედ გატარებას სთვლიდა თავისი აწინდელი ეკონომიური მდგომარეობის შემქნელ უძძლავრეს ფაქტორად. — მართალიც იყო. განსვენებულს თამამად შეეძლო ეთქვა: „ოფლითა ჩემითა ვსჯამ მე პურსა ჩემსაო“; დიახ, რამდენადაც მე ვიცი, განსვენებულმა ორმოცი წლის განმავლობაში გამუდმებული მხნეობით, პირადი ფიზიკურის შრომით და გონივრული მომჭირნეობით შეიძინა დოვლათი და ამიტომ უფლება ჰქონდა ეთქვა: ყოველივე დანაშაული შესაწყნარებელია თავისთავად სიღარიბე დანაშაულობა კი არ არის, მაგრამ ზარმაცობით და ქარფშუტა ბედოვლათობით გამოწვეული სიღარიბე და ახლა ამ სიღარიბით გულბრაზიანობა, თანაც მედიდურობა და სხვის ნაამაგარზე მტრული თვალით ცქერა, ვერაფერი სამართლიანობა და პატიოსნებააო.

რომ ჩემ სიტყვებში პირმოთნეობა ან ჩემი სოციალური მსოფლ-მხედველობის სიყალბე არავინ დაინახოს, ვისწრაფი აქვე განვმარტო, რომ მე ამ სიტყვაში მიზნად არ ვისახავ საზოგადოდ დოვლათის შემომქმედ ობიექტიურ პირობათა პრინციპიალურად განხილვას. — მე სახეში მაქვს კერძო შემთხვევა და ამ მაგალითის მიხედვით ვამბობ, რომ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიურ პირობებშიც კი შესაძლებელია ცხოვრების ამა თუ იმ სამოქმედო სარბიელზე პატიოსანი შრომით შექმნა ყოველი ადამიანი შეიღია თავისი თანამედროვე პირობებისა; კერძო პირთ არ მოეთხოვება ამ პირობათა გადალახვა. ხოლო მოქმედების დამახასიათებელი შედეგებითი ზნეობრივი საზომი ყოველ ეპოქას აქვს. ვითვალისწინებ რა თანამედროვე სოციალ-ეკონომიურ წყობილებას და ვუფარდებ რა ამ წყობილების მორალს შენს ცხოვრებას, პატივცემულო მუშაკო ლეენ, გადაჭრით და თამამად აღვიარებ, რომ შენი ცხოვრება პატიოსან, მხნე და სასარგებლო შრომაში გაატარე, ბუნებით თანდაყოლი-გულგაშლილი პურადობა და სტუმართ-მოყვარება გონივრულ მომჭირნეობას მოხერხებულად შეუ-

თანხმე, შეიძინე დოვლათი და ეხლა შეგეძლო დაგესვენა და დამტკბარიყავ შენი ნაღვანის ნაყოფით, მაგრამ ვაი, რომ არ დაგცალდა!

ულმობელმა სიკვდილმა სწორედ მაშინ მოგისწრაფა, როდესაც ჰაპან-წყვეტით განვლილ ცხოვრებას თვალი გადაავლე და იფიქრე: ეხლა კი სამართლიანობა მოითხოვს დაღლილი ძვლები დავასვენოო. ეს კი სწორეთ ბედის უსამართლობა იყო. ბედის უკუღმართობა იყო ისიც. რომ ვერც ერთი შენი ნაამაგარი საყვარელი შეიღი ვერ დაესწრო შენს უკანასკნელს წუთებს. ვინ იცის, იქნება უმადურობის გრძობამაც კი შეაშფოთა უკანასკნელად შენი პატიოსანი გული.

მაგრამ არა! შენ შეგეძლო სრულიად დამშვიდებული სინიღისით გამოთხოვებოდით წუთი-სოფელს, რადგან შენ შეასრულე ვალი ადამიანისა, დაანახვე რა კუთხე, მეზობლებს ცხოველ-მყოფლობა პატიოსანი ცხოვრებისა და დაუზარებელი შრომის მოყვარეობისა, რაც სასარგებლო იყო არა მარტო შენთვის, არამედ მათთვისაც, ვისაც ამ შრომას, თან რაიმე ურთიერთობა ჰქონდა.

შენ შეასრულე ვალი კეთილი მშობელისა, აღზარდე რა შეიღები პატიოსანი შრომის საჭიროების შეგნებით და დაუტოვე რა მათ საღსარი შრომის უნარის გამოსაჩენად; და მესამედ არ შემიძლია უღრმესი მადლობის გრძობით არ აღვნიშნო, რომ შენს სიკვდილის წინ მოიხადე მოქალაქობრივი ვალი შენი სამშობლოს მოზარდთაობის წინაშეც.

ის ხუთასი მანეთი, რომელიც შენმა მემკვიდრეებმა შენი სურვილის თანხმად ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირეს, ნივთიერ საფუძვლად ჩაეყრება ამ საზოგადოების სამეგრელოს ფილიალურ განყოფილებას, რომლის გახსნაც განზრახულია, და ეს იქნება არა მარტო ნივთიერი, არამედ მორალური ძეგლიც შენი ხსოვნისა.

უკანასკნელად გეთხოვები, დაუვიწყარი იყოს ხსოვნა შენი, მშვიდობიანო და პატიოსანო ადამიანო, („სავ. გზა.“)

საპაპის იუზილაჟი

(წერილი საჩხერედან)

საჩხერეში შესდგა ჯგუფი, რომელის თაოსნობითაც 28 სექტემბერს საჩხერის საბოქაულოს ყველა სოფლიდან ბარათებით მოწვეულ იქმნა არა ნაკლებ ხუთი კაცისა. მიზანი კრებისა იყო შემუშავება იმ აზრისა, თუ როგორ შეუერთდნენ აქაურები იმ ქართველ საზოგადოებას, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი აქვს ილღესასწაულოს ჩვენი საყვარელ მგოსნის აკაკის 50 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა. მოლოდინს სინამდვილემ გადაჭარბა. კრებაზე ბევრს ისეთს ვხედავდით, რომელნიც მოწვეულნი არც კი ყოფილან. ყველა დიდის საიმოვნებით მიეგება ამ აზრს, რის შემდეგაც დაუყონებლივ არჩეულ იქმნენ დამსწრე პირთაგან როგორც თვით საჩხერეში, ისე ყველა სოფელში კომიტეტები ყველა წოდებიდან დასახელებულ საქმის მოსაგვარებლად. ამის გამო ვთხოვთ ტფილისის მთავარ კომიტეტს, თავთავის დროზედ მოგვაწოდოს საჭირო ცნობები. ამასთან არ ვკარგავთ იმედს, რომ ჩვენი თანამეზობლები, რომელიც გაფანტულნი არიან ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეში, გულმხურვალე თანაგრძნობით მიეგებებიან ამ საქმეს და ვალდებულად ჩასთვლიან თავიანთ თავს შემოგვიერთდნენ დასახელებულ მიზნის განსახორცაელებლად. ვთხოვთ ყველა რედაქციას ეს ცნობა გადაბეჭდონ.

საჩხერის კომიტეტის წევრნი:
 ვიქტორ იურკევიჩი,
 იასონ ღამბაშიძე,
 მდ. აბ. იაკობაშვილი,
 გიგა წერეთელი,
 სპირდონ აბრამიშვილი.

წიგნისათვის მნიშვნელობა.

სიტყვა ანატოლ ფრანსისა.

ქალაქ კიბერონის „რესპუბლიკანურ სახალხო წიგნთსაცავის“ დამაარსებელთ 30 აგვისტოს (წელს) ქალაქის სკოლის დარბაზში გამართეს კრება და მოიწვიეს ცნობილი მწერალი ანატოლ ფრანსი სიტყვის წარმოსათქმელად. ა. ფრანსმა

წარმოსთქვა მოკლე სიტყვა და განმარტა ის ნამდვილი განათლება, რომელსაც იძლევიან წიგნები. მოგვყავს თვით სიტყვა:

„ნუ ვთხოვთ წიგნებს ბედნიერების საიდუმლოებას, ნუ ვთხოვთ ქვეყნის ან, თუ გნებავთ, ჩვენი ოჯახის მართვის საშუალებებს, ნუ ვთხოვთ ქვეშარიტებას, რადგან მათ არა აქვთ იგი ანუ, რაიცა უარესია, რამდენიმე ქვეშარიტება აქვთ, ქვეშარიტებათა მთელი გროვა, მთელი ჯარი ქვეშარიტებათა, ორი ჯარი პირისპირ, ორი მეომარი ჯარი, ქვეშარიტებათა საშინელი შეხეთქება. ალბად ბევრსა ჰგონია, რომ კარგად შედგენილ, კარგად შენახულსა და გამართულ წიგნთსაცავში სიჩუმეაო. მაგრამ მხოლოდ გარეგნად სჩანს ასე. დაუგდეთ თქვენი გონების ყური და თქვენამდის მოახწევს უფრო საშინელი ხმაურობა, ვიდრე უკიდურესად აღშფოთებულ ყრილობაზე გაგიგონიათ. ზამთარში, სადამოობით, როდესაც მარტო ყოფილხართ წიგნთსაცავში, არა გსმენიათ განა, ბ-ნო გრეფ, რა დიდი და საშინელი ხმაურობა მოდის თქვენის წიგნთსაცავის თაროებიდან, რომელიც ლორიანიდან მოიტანეთ და ასეთი ხელოვნებით და მეცადინეობით შეჰკრიბეთ? არ გაგიგონიათ კიბერონელთა გულუხვობის წყალობით შეკრებილ წიგნების ყვირილი? ჯერ მხოლოდ ხუთასი წიგნია, ვგონებ, მაგრამ ეხლაც ისეთივე კამათი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთში, როგორც დიდის ქალაქის მოქალაქეთ. წიგნები ყველანი ერთ დროს ლაპარაკობენ და ყველა ენაზე. მათ შორის არიან დამჯდარნი და ცელქნი, მხიარულნი და მოწყენილნი, სიტყვა გძელნი და მოკლედ მთქმელნი, ორს ყერა ნახავთ, რომ თანახმანი იყვნენ. ყოველივე საკამათო საგანია მათთვის: ღმერთი, ბუნება და ადამიანი, დრო, რიცხვი და სივრცე, გონებისთვის მისაწდომი და მიუწდომელი. ყველაფერს იკვლევენ, ყველაფერზე დაობენ, ყველაფერს ამტკიცებენ, ყველაფერს უარჰყოფენ. დღეს, ბ-ნო გრეფ, ხუთასი წიგნი გაქვთ; ხვალ ათასი, ათას ხუთასი, ორი ათასი გექნებათ. ეს იქნება ერთისა და იმავე საგნის შესახებ ათასი, ათას ხუთასი, ორი ათასი სხვა და სხვა ნაირი, ურთ-ერთის მოურიგებელი აზრი... და მაინც კიდევ ცუდად ვითვლი, მე უყურადღებოდ დამრჩა, რომ ისინი არა კმაყოფილდებიან ერთმანეთის წინააღმ-

დევობით და წამ და უწუმ თავიანთ თავს ეწინააღმდეგებიან, რაიცა დაუსრულებელს ყოფს მათის მსჯელობის გამოურკვეველობას და მათ აზრთა მრავალ-ფეროვნობას...

„მაგრამ, სწორედ ეს არის მათი კარგი მხარე, ამაშია მათი სარგებელიანობა, სწორეთ ამითი შეუძლიანთ საუკეთესო სამსახური გაგვიწიონ, უდიდესი სიკეთე მოგვიტანონ; ამისთვის გეთქმით, ბატონებო, მაღლობა, რომ კიბერონში დააარსეთ სახალხო წიგნთსაცავი. მართლაც, რას გვასწავლის ეს დაუსრულებელი შეცდომანი ადამიანის აზრისა, ეს უთანხმოება თვით დალაგებულ მეცნიერთა შორის? იქნება უნაყოფო ექვისა და მწარე უარყოფის საგნის მეტი ვერა რა ვპოვოთ ამ წიგნებში? არა, ბატონებო, აქ ვპოულობთ მოქმედების ნამდვილსა და ბეჯითს კანონს და ყველა ამ ერთი-მეორის წინააღმდეგ ჭეშმარიტებათაგან დავასკვნით ერთს დიდ ზნეობრივ ჭეშმარიტებას; ჩვენ შევიგნებთ, რომ ადამიანის გონების სიმშვენიერეს, მის სიღიადეს შეადგენს დაუღალავი და მოუსვენარი ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც არა ნებდება და გაურბის; ჩვენ აღტაცებულნი ვიქნებით მისი მაღალი მისწრაფებით და რა დავკარგავთ საბოლოო (აბსოლიუტ) ჭეშმარიტების პოვნის იმედს, სწორედ მაშინ შევიძინებთ უმშვენიერესს, უგონიერესს სათნოებას: შეწყყნარებას. აი, რას იძენენ წიგნთსაცავებში.

„ჩვენა ვართ თავისუფალი მოაზრენი; არც ერთ წრფელ რწმენას არ ვერჩით! პატივისა ვცემთ რწმენისა და იმედის ყველა სახეს. მაგრამ ჩვენა გვსურს, ვითხოვთ ასეთსავე პატივისცემას ჩვენის აზრთათვისაც, ისეთ თავისუფლებას, როგორსაც უთმობთ წინააღმდეგ აზრებს, და ყოველ ძალას ვიხმარებთ ხელი შეუწყობთ ისეთ დაწესებულებებს, რომელთათვისაც ერთნაირად კურთხეულია როგორც ჩვენი, ისე ყველა სხვისი თავისუფლება“.

ავ. ზ—შვილი.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწმყუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

წიგნი მარკა სკულისა.*)

თუ სადმე აღმოაჩინეს მოკლული კაცის გვამი და არ იციან ვინაობა მისი მკვლელისა, მაშინ მახლობელი ქალაქის მოხუცებულებმა უნდა დაკლან დიაკეული და მის თავზე დაიბანონ ხელნი და სთქვან, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან მოკლული კაცის სისხლში. თუ ვინმე ტყვედ წამოყვანილი ქალი მოიყვანა ცოლად, არც უნდა გაყილოს და არც მხეველად გაიხადოს;—თუ აღარა სურს მისი ცოლობა უნდა გაათავისუფლოს; თუ კაცს ეყოლა ორი ცოლი, რომელთაგანაც ერთი უფრო ეყვარება მეორეზე და შვილები კი ორთავესგან ეყოლება, მან ორთავეს შვილებს უნდა მისცეს ნაწილი თავისი სამკვიდრებლიდან; თუ შვილი დედმამის ურჩი და მოჩხუბარი იქნება, მშობლებმა უნდა მიუყვანონ ის მოხუცებულებს და მხოლოდ მათი გადაწყტილებით შეიძლება ურჩი შვილების ჩაქოლვა. ძელზე ჩამოკიდებული კაცის გვამი სიკვდილის დღესვე უნდა დამარხონ. (თ. 21).

მოსემ მისცა ებრაელებს აგრეთვე სხვა და სხვა მეზობლურ დამოკიდებულობაში საჭირო კანონები. კაცმა რომ იზოვოს დაკარგული საქონელი, ანუ ნივთი მეზობლისა, უნდა დაუბრუნოს პატრონს; კაცმა არ უნდა ჩაიცვას ქალური ტანისამოსი და ქალმა კაცური. ბუდიდან არ უნდა ამოიყვანოს ჩიტი ბარტყებიანად. სახლის შენების დროს უთუოდ უნდა გააკეთონ სახურავზე მოაჯირი, რომ არავინ

*) იხლე „მწემისი“ № 16 1907 წ.

გადმოვარდეს და არა ივნოს-რა. არ უნდა შეაბან ერთად ვირი და ხარი; ნაჩვენებია სასჯელი სხვა და სხვა ფერ მრუშებისათვის. (თ. 22).

ებრაელთა საზოგადოებაში არ უნდა იქმნეს მიღებული საჭურისი, მეძავის შვილი, ამონიტელი, მოაბელი; შეიძლება მიღება მესამე თაობაში ილუმიელისა და მეგვიბტებისა; ომის დროს ბანაკში დატულ უნდა იქმნეს სისუფთავე; ებრაელთა ქალი არ უნდა იყოს როსკიბი და არც უნდა შეიწიროს ღვთისათვის როსკიბობაში აღებული ფული. ებრაელმა ებრაელს არ უნდა ასესხოს ფული ან პური სარგებლით; თუ ვინმე შევიდა მოყვის ვენახში, შეუძლია რავედნიც უნდა იმდენი ჭამოს ყურძენი, ხოლო თან კი არაფერი არ უნდა წაიღოს. (თ. 23.)

თუ რომელიმე კაცმა განუტევა ცოლი თვისი და მისცა მას წიგნი განსატყვებელი, იმ კაცს ნება აღარა აქვს შეერთოს იგივე ქალი, თუ ის სხვას ვისმე ყავდა ცოლად პირველი ქმისგან გაშვების შემდეგ. აღკრძალულია ხელსაფქვაების აღება ვისგანმე გირაოდ. კეთრით ავადმყოფი უთუოდ უნდა მიიქცეს მღვდელთან და აღასრულოს მისი ნაჩვენები კანონი. მდიდრები არ უნდა შეუცვიდნენ სახლში ღარიბებს ვალის გამოსართმევად; თუ ღარიბს კაცს მდიდარმა გამოართვა ტანისამოსი გირაოდ, უთუოდ უნდა დაუბრუნოს იგი საღამოთი, მზის ჩასვლამდე. საზოგადოდ, არ უნდა დააკლოს ფასი მოჯამაგირეს და დღიურს მუშას. სასამართლოებში უნდა სუფევდეს კაცთმოყვარება და მოწყალება; ამიტომ მამა არ უნდა დაისაჯოს შვილის და შვილი მამის დანაშაულისთვის; ნაყოფის შეკრების ჟამს, რაოდენიმე ნაწილი პატრონმა უნდა დასტოვოს ქვრივ-ობოლ-მწირთათვის. (თ. 24).

როცა ორ კაცს შორის ასტყდება რამე დავა და ცილობა, ისინი უნდა მოვიდნენ მოსამართლესთან, რომელიც მართალს გაამართლებს და მტყუანს გაამტყუნებს; თუ დანაშაული მოითხოვს, შეიძლება დანაშაულის გვემაც (ცემა) მაგრამ მას არ უნდა დაარტყას ორმოცზე მეტი, რომ კაცი არ დასახიჩრდეს. უ ეთუ მოკვდა ვინმე უშვილოდ, მისი ცოლი უნდა ითხოვოს მიცვალებულის ძმამ (ცოლის მახლმა), რათა აღუდგინოს თესლი ძმასა თვისსა და პირველი შვილი ამ კავშირიდან დაბადებული იქნება მიცვალებული ძმის სახელზე; ამ კავშირს ეწოდება რაქლ მახლის ქარწინება. თუ მახლმა უარი სთქვა რძლის ცოლად მიყვანაზე, მაშინ ამ

უკანასკნელმა უნდა მოიყვანოს მახლი მოხუცებულითა შესაკრებელთან, გახადოს მას ფესსაცმელი (ხამლი) და ჩააფურთხოს პირში და უთხრას: ესე ეყავნ კაცსა, რომელმან არა ინებოს აღშენებად სახლი ძმისა მისისა შორის ისრაელისა. ებრაელთ უნდა ჰქონდეთ სწორი საწყაო და სასწორი. კვალად განმეორებულია კანონები პირველ ნაყოფთა და ათეულის შეწირვის შესახებ. (თ. 26).

მესამე სიტყვა მისესი. (თ. 27—30). მოსემ შეკრიბა მოხუცებულნი ერისანი და უბრძანა მათ დაემარხნათ შემდგენი მცნებანი მისნი. როდესაც ებრაელნი გავიდოდნენ იორდანეს გაღმა, მათ უნდა ქვისაგან აეგოთ ძეგლი და ზედ დაეწერათ სჯულის სიტყვები. კიდევ უნდა აეშენებინათ სამსხვერპლოები, შეეწირათ მსხვერპლი და თითონაც ელხინათ. გარიზინის მთაზე უნდა დამდგარიყვნენ ექვსი ტომი ისრაილისა და წარმოეთქვათ კურთხევა სჯულის აღმასრულებლებზე, მეორე ექვსი ტომი უნდა ასულიყვნენ გებაილის მთაზე და იქიდან წარმოეთქვათ წყევა სჯულის დამარღვევლებზე. ეს წყევა შეეხება სჯულის დაფარულ დამრღვევებს; წყევა უნდა წარმოეთქვათ ლევიტელებს ხალხი კი იტყოდა მხოლოდ „იყავნ, იყავნ“ (თ. 27)

აღთქმის ქვეყანაში დაიწყება ებრაელთათვის ახალი ცხოვრება. სიკეთე ამ ცხოვრებისა დამყარებულია მცნებათა აღსრულებაზე. მოსემ წარმოსთქვა ლოცვა და წყევა, რომელიც იმავე დროს არის წინასწარმეტყველება ებრაელთა მომავალი თავადასავლისა. თუ ებრაელთ აღსრულეს აღთქმის ქვეყანაში სჯული უფლისა და მცნებანი მისნი, მაშინ მათზე მოვა კურთხევა მისი. ეს კურთხევა შეეხება, როგორც გარეგანს, ისე შინაგანს ცხოვრებას. ებრაელი კურთხეული და ბედნიერი იქნება კერძო, შინაურს ცხოვრებაში—კურთხეულ იყო შესვლასა შენსა და გამსვლასა შენსა, კურთხეულ იყო ქაღაქთა შინა შენთა და გეღთა შენთა. ებრაელი კურთხეულ იქნება ოჯახურს საქმეში—განმრავლდეს ღმერთმან ნაშობნი მუცლისა შენისანი და ნაშობნი ცხოვართა შენთანი და ნაყოფნი ქვეყანისანი. კურთხეული და ბედნიერი იქნება ებრაელი საზოგადოებრივ—სახელმწიფო ცხოვრებაში, რადგანაც იგი ასესხებს სხვებს ფულს, თითონ კი არ ისესხებს არავისგან, უფალი აღამალლებს მას ყველა ერზე, ის იქნება თავში და არა ბოლოში, მძლევ ექმნება ისრაილი მტერთა თვისთა: მოგტყს შენ უთვალმან ღმერთმან

შენიან ყოველნი მტერნი შენნი ხელთა შენთა და ყოველნი მხდომნი შენნი შემუსრენ წინაშე ზირსა შენსა; ერთსა გზასა ზედა მოგისდენ შენ, შვიდ გზით იფლტოდენ ზირისაგან შენისა. ეს წინასწარმეტყველება მოსესი აღსრულდა. აღთქმის ქვეყანა იყო ფრიად ნაყოფიერი, ებრაელნი იყვნენ ღიდებულნი, ძლიერნი მდიდარნი დავით და სოლომონ მეფეთა დროს.

ღვთის სჯულის დავიწყებისათვის, ებრაელთა მოელის წყევალღვთისა და ყოველივე უბედურება. ებრაელთა შორის განმრავლდება ბევრი სხვა და სხვა ნაირი სენი ხორციელი და სულიერიც, წყევალ შეეხება ებრაელის ოჯახურ ცხოვრებასაც — წვეულ იყვნენ საუნჯენი შენნი და მხანკაენი შენნი; წვეულ იყვნენ ნაშობნი მუცლისა შენისანი და ნაყოფნი ქვეყნისა შენისანი, ძრწვეული ზრცხათა შენთანი და სამწესონი ცხოვართა შენთანი. ცოლი მოიყვანა შენ და სხვაჲმან კაცმან შეართოს იგი ცოლად; სახლსა იშენებდე და ვერ დაეშკვიდრო მას შინა, ვენახსა დასსმიდე და სხვაჲმან მათსთლეს იგი. ქენი შენნი და ასულები შენნი მოცემულდ იყვნენ ნათესავთა სხვათა და თვალნი შენნი ხედიდენ წარტყვევებულთ შენგა და არა ხელეწიფოს ხელსა შენსა გამოდებად. ნაყოფსა ქვეყანისა შენისასა და ყოველთა ნაშრამთა ხელთა შენთასა შესძამდეს ნათესავი უცხო, რომელი არა იცოდა და იყო შენ მხვეჭილ და ვნებულ ყოველთა დღეთა შენთა; თესლი დიდი განთესა ყანობისსა შენსა და მცირედ შემოკრიბო იგი, რამეთუ შესჭამოს იგი მიკაღმან; ვენახსა დასსმიდე და დვინო არა სვა, არცა-და იხმარებდე მისგან, რამეთუ შესჭამოს იგი მკრავნელმან. თვით ბუნება იქნება ამხედრებული წინააღმდეგ ებრაელთა — გექმნის შენ ცაი ზესუნელ თავისა შენისა, ვითარცა რვალნი და ქვეყანა ქვეშე შენსა, ვითარცა რკინა. კარდაქციოს უფალმან დმერთმან წვიმა იგი ქვეყანისა მის შენისა, მტვრად და ვითარც მიწა ცით კარდამო.

ყველა ამ უბედურებათა და წყევალთა გამო დაქინდდება საზოგადოებრივი ცხოვრება ებრაელთა — მწირი იგი და მსხუმი, რომელი იყო შენ შორის ამაღლდეს უზესთავს შენსა, ხოლო შენ შთანდე დადმართ და იყო შენ ნაკლულევან; იგი გავასხებდეს შენ და შენ არა იბოგო, რათამცა უკუნ სცე; იგი იყოს თავ შენსა და შენ იყო ბოლო; დაბნელებდა ებრაელთა სამხედრო ღიდება, — მიგცეს შენ უფალმან ძღვევას მტერთა შენთას; ერთით გზით მოადგე შენ მათდა

და შვიდ გზით მეტად წარტყეული, იფლტოდი ზირისაგან მათისა; და განკაზიხნოს შენ უფალმან ყოველთა შორის შარავანდედთა და ნათესავთა ქვეყანისათა.

ებრაელთა მოვლით ტყვეობა უცხო ტომის ხალხისაგან; ტყვეობაში ისინი შეურაცხყოფილ იქნებიან მიგცეს უფალმან შენ და მთავარნი იგი შენნი, რომელნიცა დაგედვინენ შენ ზედა, ნათესავსა უცხოთა, რომელ არა იცოდა შენ, არცა-და მამათა შენთა და მსახურებდე შენ მუნ კერზთა უცხოთა ძელისა და ქვისათა; და იყო შენ მუნ საბასრობეკლად; და იკავად, და მისათხრობეკლად ყოველთა შორის ნათესავთა, ვიდრე-და მოკვიფანოს შენ უფალმან დმერთმან შენმან. ებრაელთა წარმტყვევნი ერი იქნება სასტიკი, გულქვა, მრისხანე, შეუბრალებელი: მოავლინოს უფალმან დმერთმან შენმან ნათესავი იგი შორეული ვიდიოვან ქვეყანისათ, რომელნი გბრდღვინდენ, ვითარცა ღომნი და გტეკებოდენ, ვითარცა ორბნი, ნათესავი რომლისა არა გესმა ხმა მისი; ნათესავი ურიდი ზირითა, რომელმან არა თვალ სხენეს მხსურებულისა სიბერესა და არცა-და შეიწყადოს ყრმაი ჩხვილი. ეს ხალხი დიდ ზარალს მიაცენებს ებრაელებს: შესჭამნეს მან ნაშობნი საცხოვართა შენთანი და ნაყოფი ქვეყანისა შენისა და არა დაგიშთეს შენ იფქლი, და არცა დვინო და ზეთი და ზრცხანნი ძრწვეულთა შენთანი და არცა სამწესონი ცხოვართა შენთანი, ვიდრემდის მოკასრულნეს შენ; ებრაელნი დავმონავებიან ამ მტრებს: და მსახურებდე შენ მტერთა შენთა, რომელნი მოავლინოს უფალმან შენზედა შიმშილითა, და წუურვილითა, და შიმშილებთა. და ნაკლულევანებითა ყოვლისაგან; დაგდვას შენ ჯაჭვი რკინისა ქედსა შენსა, ვიდრემდის მოკასრულნეს ებრაელებს არ ექნებთ სულიერი მოსვენება ტყვეობაში: წარმათთა მათ შორის არავე განისვენო შენ და არცა-და დგომან იყოს ფერხთა შენთა; და მიგცეს შენ უფალმან დმერთმან შენმან გული ტმუნვიერი და თვალნი ნაკლულევანნი, და სული განკათული; და იყოს ცხოვრება შენი დაკიდებულ წინაშე თვალთა შენთა, და შეშინებულ იყო შენ დდე და დამე, და არა გრწმენეს შენ ცხოვრება თავისა შენისა. განთიად სთქვა: ოდესმე დადამდეს, და მწუნხრი სთქვა: ოდესმე განსთენეს, შეძრწუნებითა მით გულისა შენისათა და შეშინებითა მით ხილვისა მის თვალთა შენთასა, რომელსა იგი ხედიდე შენ.

მეტად საშინელს უბედურობას და შევიწროებას იხილავს ერი ებრაელთა მტრების შემოსევისგან.

—ადგფხვრას (მტერმა) შენ ქადაქთავან შენთა, რამელთა დაშკვიდრებულ იუო და დაამხენეს ზღუდენი იგი შენნი მადანნი და ძნელნი, რამელთა იგი შენ ესევედი, უფელსა მას ქვეყანასა შენსა და შეგიცვან შენ და შეკურფონ უოველთა მათ შინა ქადაქთა შენთა, რამელთა მარცხნა შენ უფაღმან დმეტმან შენმან. და შესჯამდე შენ ნაშობთა მუცლისა შენისათა, გაჭირვებდენ რა შენ მტერნი იგი შენნი ჭაბუკნი თქვენ შორის და ურმანი ფრად ფუფუნებულნი, თვალ ძვირ იქმნენ ძმისა თვისისათვის და ცოლისათვის, რამელი იუოს უბეთა შინა მისთა, და ნეშტთა მათ შვილთა, რამელიცა დაუშეთს მას. ანა მიცემად თვითუელთა მათდამი ხორცთავან ნაშობთა მისთასა, რამელთა იგი სჯამდესა, რამეთუ ანა რაი დაუშთა მას იწრებესა მას და ჭირსა შინა, რამელთა გაჭირვებდენ შენ მტერნი შენნი უფელთა შინა ქადაქთა შენთა, და ჭაბუკი თქვენ შორის და ურმა ფრად, რამელმან რათურთ ანა იცოდეს გაზმოდელიება სიფიცხლისა, და ანა დაედგას ფერხა ქვეყანასა ზედა, სითხათ ფუფუნებისა მისისათ, თვალ ძვირ იქმნა ქრმისათვის, რამელი იუოს წიადთა მისთა და შვილთა და ასუელთა თვისისათვის. რამელნი იგი გამოსრულიყვნენ წევილთავან მისთა და შვილსა მისსა, რამელსა შობდეს. შესჯამდეს იღუმალ უზავარებისათვის უფელთა ჭირთა მათ და იწრებთა მათისათა, რამელსა იგი გაჭირვებდეს მტერი იგი შენი უფელთა შინა ქადაქთა შენთა. დასასრულ ყველა წყევათა ებრაელებს მოელით გაფანტვა მთელს ქვეყანაზე და სამშობლოს დაკარგვა, — მიგაქციოს შენ უფაღმან მუნვე კევი, ტედ ნაგებითა და გზასა მას, რამელსა იგი გარქვ თქვენ, ანდა რა შესძლოთ თქვენ მარქვევა აქავე; მიგვიდნეს თქვენ ხელთა მტერთა თქვენთასა მონად და მხეველად, და ანაგინ იუოს, რამელმანცა გიყიდნა თქვენ. (თ 28).

ეს წინასწარმეტყველებაც ასრულდა ებრაელებზე. ოდესმე ქებული ნაყოფიერობით პალესტინა, ეხლა წარმოადგენს უნაყოფოს, სრულიად აოხრებულს ქვეყანას. ებრაელნი — მათი მეფე, დიდკაცობა წარტყვენა ბაბილონელთა მეფემ ნაბუქოდონოსორმა, რომელმაც დაანგრია იერუსალიმი და ტაძარი მისი; იყვნენ ებრაელნი ტყვეებათ სპარსელთა, მეგვიპტელთა, ასურელთა და რომაელთა ხელში; რომაელთა ჯარმა დაანგრის იერუსალიმი; იერუსალიმის რომაელთა ჯარით შემოზღუდვის

დროს იყო, რომ დედები შვილებს სჯამდენ. რომ ებრაელნი განთესულ არიან მთელს ქვეყანაზე და მათ მტრულად უცქერიან ყველა სახელმწიფოებში, ეს ყველამ იცის.

შემდეგ ამისა, მოსემ უთხრა ხალხს, რომ თუმცა მათ უკვე იციან ის სასწაულები, რომლებიც ღმერთმა ჰქმნა ეგვიპტეში და უდაბნოში, მაგრამ აქამდე არა ჰქონდათ შეგნებული მნიშვნელობა ამისი; ეხლა ამ ორმოცი წლის მოგზაურობის დასასრულში მაინც უნდა შეიტყონ და შეიგნონ, რომ ეხლა სდებენ ალთქმას ღმერთთან და ამიტომ მათში აღარ უნდა იყვეს კერპთაყვანის-მცემლობა და ჭეშმარიტი ღვთის ღალატი. (თ. 29). მოსემ იცის, რომ მისი კურთხევა და წყევა ასრულდება, ხედავს ის ისრაილის საბოლოო თავ-გადანავალსაც — როცა ისრაილი მოიქცევა ღვთისადმი და ღმერთიც შეჰკრებს მას და განსწმედს ცოდვათაგან. ეს კი შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ისრაილი არ დაივიწყებს ღვთის სჯულს. (თ. 30).

ნაწილი მეორე (თთ. 31—34).

მოსემ კვალად შეკრიბა ძენი ისრაილისნი და გამოუცხადა მათ, რომ იგი თანახმად ღვთის ბრძანებისა, ვერ შეიყვანს ხალხს ალთქმის ქვეყანაში. თვით ღმერთი წაუძღვება მათ წინა, ალთქმის ქვეყანაში კი შეიყვანს. ისუ ძენავესი, რომელსაც გადაეცა მოსესგან უფლება ხალხის წინამძღოლობისა. შემდეგ მოსემ შთაწერა წიგნში თავისი უკანასკნელი სიტყვები, გარდასცა მღვდლებს და მოხუცებულებს და უბრძანა მათ ეკითხნათ ეს წიგნი მთელი ხალხისთვის მიტევების დღეს და ტალავრობის დღესასწაულზე. შემდეგ ღმერთმა გამოუცხადა მოსეს და ისუნავეს, რომ ებრაელნი დაიწყებდნენ კერპთმსახურებას და უბრძანა ესწავლებინა ხალხისთვის საგალობელი, რომელშიც გამოყვნილი უნდა ყოფილიყო მხილება ერის უსჯულოებისა. შემდეგ მოსემ ჩასწერა უკანასკნელი ამბები სჯულის წიგნში, მისცა ლევიტელებს და უბრძანა დაედო იგი სჯულის კიდობნის გვერდზე. (თ. 31).


მოახილე, ცაო, და ვიტეოდე და ისმენდინ ქვეყანა სიტყვათა ზირის ჩემისათა; ასე იწყებს მოსე წინასწარმეტყველი თავისს სამხილებელს გალობას. საგანი ამ გალობისა არიან ლიდებულნი საქმენი

ღვთისანი და გარყვნილობა უმადური ხალხისა—
 ებრაელთა.—ღმერთი მოსიყვარულე მამასავით
 ზრუნავდა ებრაელთათვის; ღმერთმა ამოიბრჩია იგი-
 ნი თავის ერად და აღუთქვა მას ქანაანის ქვეყანა;
 უდაბნოში მოგზაურობის დროს ღმერთი იფარავდა
 ებრაელებს, როგორც თვალის გუგას, უვლიდა მათ,
 როგორც ორბი თავის ბარტყებს. მოსეს წინ წარ-
 მოუდგა სურათი ებრაელთა ცხოვრებისა ქანაანის
 ქვეყანაში; ისინი სწოგენ თაფლსა კდისკან და ზეთსა
 კდდისა მისკან უდადისა, სჭამენ ერბოსა ზრახათსა
 და სძეს ცხაფართასა. მაგრამ იაკობი განსძდა, განსუქ-
 ნა და განსხვნა და განსჭქნა და დაივიწყა ღმერთი
 შემოქმედი თვისი და გადაუდგა ღმერთსა მაცხო-
 ვარსა თვისსა. ამიტომ ღმერთმა სიყარული თვისი
 მიაქცია სხვა ერებზე; რისხვა ღვთისა ქემშარიტი
 სჯულის მოღალატეებზე დიდია—ცეცხლი, შიმში-
 ლი, საღმობა, ზარალი გარეულ ცხოველთაგან,
 მომწყვედელი მახვილი; მაგრამ მოწყალე ღმერთი
 მაინც მიჰყენს ებრაელს თავის წყალობას. ისუ ნა-
 ვემ და მოსემ უბრძანეს ერს დაესწავლათ ეს გა-
 ლობა. შემდეგ ამისა ღმერთმა უბრძანა მოსეს
 ასულიყო ნაბავის მთაზე და იქიდან დაეთვალიე-
 რებია აღთქმის ქვეყანა. (თ. 32).

უქანასკნელად შეაგროვა მოსემ ებრაელნი
 დალოცა იგინი და ყველა ტომს უსურვა სიკეთე
 და ბედნიერება (თ. 33).

აღვიდა ნაბავის მთაზე, გადახედა აღთქმის ქვე-
 ყანას და მოკვდა მოსე კაცი ღვთისა ას ოცი წლის
 შობიდან. თუმცა მოსე მოხუცებული იყო, მაგრამ
 არა დაუბრუნებულს თვალნი მისნი და არცა იცვალა
 ქმნულება ჰიარისსა მისისა. ხალხმა მოსე იგლოვა
 ოცდა ათს დღეს.

განცხადება.



მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის ორ-
 კვირულ შუბნალს

XXV წ. „მწემეს“-ზე XXV წ.

ქურნალის ფასი:

12 თვით 3 მან.—6 თვით 2 მან.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა
 ვეილიაში რედაქციაში.

ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის
 შემოტანა მან უნდა წარმოადგინოს პირველ იანვარს
 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. ჰ პირველ ივლისს 1 მ.
 სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაე-
 თმობათ მთელის წლით ორ მანეთად.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ.

რედაქცია იმყოფება დ. ვეილიაში რედაქტო-
 რის საკუთარ სახლებში.


გარეშე მცხოვრებთ ქურნალის დაბარება შეუძ-
 ლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію
 журнала „МЦКЕМСИ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
 დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-
 ნიც ყდით ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე მრავალ-გვარი
 საკითხავი წიგნები და სახელმძღვანელო გამოცემანი.
 რედაქტორ-გამომცემელი დეკანოზი დ. დამბაშაძე.



მ წ ყ ი ლ ე ბ ი ა ნ



დამანოზი ღვთის მსახურებისა და მსახურებისა და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მალაზიში, უვირილაში—
«მწევესი»-ს რედაქციაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. **ლოცვანი** ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავერესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვე. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. უცილთ 25 კ. და უყდოთ . . . 20 კ.
2. წესი სწავლის ზიარებისა და ვრცელი პანაშვილისა, ფასი . . . 10 კ.
3. **სოცლთა** და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის უცილთ) ფ. . . 20—
4. **ქონდაკი** იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი უცილთ . . . 50 >
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >
6. საქართველოს ეკკლესიის წმიდანები რუს. 5 "

2. სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. ღარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, 30 კ.
2. დაწყებითი გაცვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
3. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 30 კ
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საპირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი უცილთ . . . 20 კ

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბაღინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწო-

ნებული და ნება-დართულია კავკასიის საეკიმო რჩევა-საგან უცილთ ფასი . . . 10—

2. ღარიგება მხედველობის დაცვასა და თვალის მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარით . . . 5 კ.
4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებულთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი . . . 15 კ.
2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . . 15 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 20 "
3. შიო მღვდმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. **მთავარ-მოწ. ღვთის** და **კონსტანტინე** და **მოწამეთის მონასტერი.**—ფასი . 5 კ.
- იგივე რუსულ ენაზე . . . 10 კ.
5. პარძიის მონასტერი, ფასი . . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამალღება პატრიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2—
4. შობა უფლისა . . . 2 კ.
5. მიჩქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქნელა ხატის ისტორია . . . 3 კ.
6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქარ-

თველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაქდენი, სურათით, ფასი . 3 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . . 5—

- 5. გიორგი მთაწმიდელი 10—
- 6. იოანე ზედაზნელი 5—
- 7. შუშანიკი 2—
- 8. ქეფეან დედოფალი 2—
- 9. არჩილ და ლუარსაბი 5—
- 10. წმიდა ნინო რუსულად 8—

7. რელიგიური და ზნეობრივი შინაწისხ წიგნები და საუბრები:

- 1. ზვიდანი მღვდელ-მთავარნი: ბასილი დიდი, გრიგორი ღვთის-ამბჟველი და იოანე მოქრპირი, სურათებით — ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ — ფასი . 2—
- 4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—
- 5. სიკვდილი მართლისა, კონსტანტინე-პაპის მიხედვით 5—
- 6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარა შესწავლა იესო ქრისტესი 3—
- 7 შეილქების მოვალეობა მშობელთადმი 3—
- 8 მშობლების მოვალეობა შეილთადმი 3—
- 9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვსძლიოთ მათ 3—
- 10 იუნჯებლით საუნჯესა ცათაშინა 3—
- 11 საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
- 12 — შრომაზე 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი 5 »

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. მამუხ სოლომონ ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მათერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძნე ი.ო ძისა ზირაქისა, სურათით. 5—
- 4. იოსები 5—
- 5. მრავალ წამებული იობი 5 კ.

11. მხატვრობანი სას. და საერო მოღვაწეთა.

- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
 - 2. აკაკი წერეთელი 25 კ.
 - 3. თამარ მეფე 25 კ.
- იმეჭონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმ. ბლანკები და ამოწერილობანი.

ხატები და მხატვრობანი.

იმეჭონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიქსურზე სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ივერიის ღვთ-ს-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართლო-ში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გარდახდებამასთან იმეჭონება სქელ ქალღმრთელზე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განძნათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განძნათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოში 5 კ. ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუჟნისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმეჭონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაიკადი ხატები ფერკადული ლათონისა, სახელობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოში 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობა სამ მან. ესეთი იმეჭონებიან ვერცხლისა, ფასი 40 კ.

ჟურნალის „მწყემსი“-ს

სტამბა

(დ. დ. ლამბაშიძისა)

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ ზაკაზებს. სტამბა ასრულებს დაკვეთილ სამუშაოს დროზე, სუფთად და პირიან ფასებში.

სტამბა იმყოფება დაბა ყვირილაში ლამბაშიძის საკუთარ სახლებში.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე, 30 ოქტომბერი 1908 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ლამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.